

# მერის ანგარიში

## ადმინისტრაციული სამსახური

### საქმის წარმოება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა, შესაბამისი კანონმდებლობისა და მერიის დებულებით დადგენილი წესით უზრუნველყო საქმისწარმოების წარმართვა შემდეგი მიმართულებით:

- მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, მათთვის კონსულტაციის გაწევა მერიაში არსებული სერვისებისა და მომსახურების შესახებ
- ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, ასევე ფოსტით და ელექტრონული ფორმით შემოსული კორესპოდენციების, (განცხადებების, ერთობლივი განცხადებების, მომართვების) აღრიცხვა, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემებში, (როგორც edocument-ში ასევე mms-ში) შესაბამისი წესით დარეგისტრირება და მათი ადრესატებისათვის გადაგზავნა.
- გასაგზავნი კორესპოდენციების რეგისტრაცია და ფოსტით, ელ. ფორმით ან სხვა დადგენილი ფორმით გაგზავნა, ასევე ადრესატებისთვის მიწოდების კონტროლი.
- შიდა ტიპის კორესპოდენციების, ასევე სამართლებრივი აქტების რეგისტრაცია
- საქმისწარმოების ნომენკლატურის შედგენა, საარქივო დოკუმენტაციის განსაზღვრა და არქივისთვის გადასაცემად მომზადება.
- საჯარო ინფორმაციის მომზადება.
- კორესპოდენციების შესრულების კონტროლი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების განყოფილების მიერ, საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, ასევე საქმისწარმოების ელექტრონული სისტემების გამოყენებით დამუშავდა **22,600 -ზე** მეტი დოკუმენტი, რაც მთლიანობაში ბევრად აღემატება გასულ წელს დამუშავებულ დოკუმენტების რაოდენობას, გასული წლის ოქტომბრის თვეში დაგვემატა დოკუმენტბრუნვის ახალი სისტემა MMS, რაც მისი სპეციფიკიდან გამომდინარე საფუძველი გახდა მიმდინარე წელს განყოფილებაში ახალი საშტატო ერთეულის დამატებისა, MMS სისტემის მეშვეობით ჯერჯერობით ხდება სოციალური და ინფრასტრუქტურული შინაარსის განცხადებების დარეგისტრირება, განყოფილება ასევე ჩართულია მაღალმთიანი სოფელი ხანის სტატუსის მინიჭების პროცესში და ახდენს შემოსული დოკუმენტაციის მიღებას და რეგისტრაციას MMS- ში.

2018 წლის ბოლოს საქმისწარმოების განყოფილების მიერ დამუშავდა მერიის შიდა საარქივო დოკუმენტაცია, განზაზღვრული ნომენკლატურის მიხედვით და გამზადებულია ცენტრალური არქივისათვის გადასაცემად.

2018 წლის 16 ოქტომბრიდან წლის ბოლომდე MMS სისტემაში რეგისტრირებულია:

. 657 განცხადება -სოციალური სფერო - (ვადაგადაცილებული ფიქსირდება - 8);

. 2500 განცხადება მაღალმთიანი სოფლის მაცხოვრებელთა სტატუსების მინიჭების შესახებ, (არ არის დარღვეული პროგრამული შესრულების ვადები)

. 6 განცხადება არქიტექტურის სფერო (შესრულებლად ფიქსირდება 4)

2018 წლის მდგომარეობით საქმისწარმოების ელ სისტემაში (edocument)-ში რეგისტრირებულია 9 850 შემოსული კორესპოდენცია.

მათ შორის :

**3 654** განცხადება (მოქალაქეებიდან შემოსული) - ვადაგადაცილებული შეუსრულებელი - 118

**5 916** მომართვა (ორგანიზაციებიდან შემოსული)- ვადაგადაცილებული შეუსრულებელი - 520

დარეგისტრირდა ასევე **7 953** - გასული კორესპოდენცია, ყველა მათგანი გადაგზავნილია შესაბამის ადრესატთან

**1690** სამართლებრივი აქტი,

**2559** შიდა ტიპის დოკუმენტი,

ასევე საკუთრების აღიარების კომისიის **576** დოკუმენტი (მიმართვა; განგარგულება) რომელთა გატარება/რეგისტრაცია ხდება ცალკე ნუმერაციით.

2018 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 49 იურიდიული და 13 ფიზიკური პირის წერილი და განცხადება. ყველა მათგანზე პასუხი გაცემულია დროულად. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

მიწის ნაკვეთების საკუთრების აღიარების კომისიის გვერდზე აღრიცხულია 631 კორესპოდენცია, რომელთა ძირითადი ნაწილი შემოსულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, დანარჩენი მოქალაქეთა მიერ ხელზე მოტანის გზით, აღნიშნული კორესპოდენციების რეგისტრაცია ხდება (edocument) -ში, დანარჩენ კორესპოდენციებთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საქმისწარმოების ამ სისტემაში დოკუმენტების შესრულების ვადები არ არის თანხვედრაში კომისიის დებულებით განსაზღვრულ შესრულების ვადებთან, რაც ქმნის შეუსამამობას, კერძოდ კომისიის დოკუმენტების უმეტესობა ფიქსირდება ვადაგადაცილებული კორესპოდენციების საერთო რაოდენობაში. მოცემულ შემთხვევა ში 2018 წლის მდგომარეობით 631 დოკუმენტიდან ვადაგადაცილებულად ფიქსირდება 342 კორესპოდენცია).

საქმისწარმოების განყოფილება მუდმივად ახორციელებს კონტროლს კორესპოდენციების შესრულების შესახებ და პერიოდულად ამზადებს წერილობით ინფორმაციას ვადაგადაცილებული დოკუმენტების შესახებ.

#### იურიდიული და ადამიანური რესურსების განყოფილება

გასული 2018 წელს იურიდიულ განყოფილებას დაეწერა 310 დოკუმენტი, ყველა დოკუმენტი შესრულებულია მომზადებულია შესაბამისი საპასუხო წერილები.

2018 წლის იანვრიდან ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის იურიდიული განყოფილების მიერ მომზადებულია, როგორც მერიის თითოეულ სამსახურებისათვის, ასევე ჩვენს მიერ დაფუძნებულ აიპიებში, ასევე დღემდე ინტენსიურ კონსულტაციებს უწევს სამართლებრივი თვალსაზრისით.

2017 წლის 05 ივნისის დაიწყო სამართლებრივი დავები ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და მოსარჩელებს შორის რომლებიც რეორგანიზაციის შედეგად განთავისუფლდა, იმ დროისათვის 5 პიროვნება. სადაც დავის საგანს წარმოადგენდა: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა განაცდურის ანაზღაურება. ბაღდათის მაგისტრატის სასამართლოს გადაწყვეტილებით არცერთი სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; რის შედეგადაც მხარეებმა გაასაჩივრეს კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო წესით, სასამართლო დავები დღეის მდგომარეობით სრულად არ დასრულებულა და მიმდინარეობს ადმინისტრაციული დავა უზენაეს სასამართლოში.

ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მამუკა ენდელაძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რაც გულისხმობს შემდეგს: ბათილად იქნა ცნობილი ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენელთა კორდინაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტის -მამუკა ენდელაძის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 15 მარტის N41 271 ბრძანება. ქ.ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ენდელაძეს მიეცა განაცდური მთელი პერიოდის განმავლობაში 8 900 ლარი. განთავისუფლების დღიდან რეზერვში ჩარიცხვამდე. ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებით 6 თვის განმავლობაში ეძლევა თანხა რეზერვში ყოფნისა 550 ლარი 6 თვის განმავლობაში.

2017 წლის 21 აპრილს ნინული კაპანაძემ სარჩელით მიმართა ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის იმდროისათვის გამგეობის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 23 მარტის N41317 ბრძანების ბათილად ცნობა, გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობაზე აღდგენა (სოფელ როხის წარმომადგენელი) და ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის იძულებით განაცდურის ანაზღაურების დაკისრება გადაწყვეტილების აღსრულებამდე. ნინული კაპანაძის ადმინისტრაციული საჩივარი ყველა ინსტაცია გამოვლილია, ქ.ქუთაისის სასაპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნინული კაპანაძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ნინული კაპანაძე აღდგენილი იქნას ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2017 წლის 23 მარტის N41317 ბრძანების გამოცემამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე; ბაღდათის

მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს ნინული კაპანაძის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება-სამსახურიდან განთავისუფლების დღიდან ამ გადაწყვეტილების აღსრულებამდე. ნინული კაპანაძეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არ წარმოუდგენია ამ დროისათვის რაზეც ვერ განხორციელდა თანხის მიცემა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.

რაც შეეხება შრომით დავას, გასული წლის 2018 წლის 22 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მძღოლმა ირაკლი ხურციძემ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების მიეცა განაცდური 4900 ლარი.

ასევე სამოქალაქო დავა დაიწყო 2017 წლის 3 თებერვალს შ.პ.ს. საქმილსადენმშენსა და თვითმართველი ერთელი ბაღდათის მუნიციპალიტეტს შორის, დავის საგანს წარმოადგენს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლების ფერსათი-როკითი-დიდველა-ვარციხის საავტომობილო გზის ფერსათი როკითი მონაკვეთზე და როხი-სალომინაოს საავტომობილო გზის ზედა ფენის ხარისხი არ შეესაბამება სსიპ ლევან სამხარაულის მიერ სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებულ საექსპერტო დასკვნა, ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაწყვეტილება გამოვიდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ (52541,69 ლარი), კერძოდ რომელიც საბოლოო მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელდებოდა ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე არ გადაერიცხა და დარჩა ბიუჯეტის სასარგებლოდ.

### **ადამიანური რესურსების მართვა (შეფასება, სწავლების საჭიროებები)**

საჯარო სისტემის რეფორმა გარდამავალი ფაზიდან ეტაპობრივად გადადის აქტიურ საკანონმდებლო ფაზაში. ადამიანური რესურსების მართვის ერთეულს 2018 წელიც ფუნქციურად დატვირთული ჰქონდა, რადგან 2018 წლის 01 იანვრიდან ამოქმედდა „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვითაც დადგინდა საჯარო დაწესებულებაში საჯარო მოხელისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცედურები. მოხელის შეფასება კანონის ძირითადი მოთხოვნაა, რასაც ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის უშუალო ჩართულობით, დაწესებულების ხელმძღვანელი პირები, მენეჯმენტი და მოხელეები დიდი პასუხისმგებლობით გაეცნენ და გაითავისეს.

საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციების შესაბამისად, საწყის ეტაპზე, 2017 წლის დეკემბრის ბოლოს, შემუშავებული და დამტკიცებული იქნა შეფასების დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრა შეფასების მეთოდი (კომპეტენციების შეფასება) და წესი. დოკუმენტს გაეცნო მერიის ყველა მოხელე. 2018 წლის იანვარში თანამდებობის ფუნქციებიდან გამომდინარე, შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებული მოხელის ჩართულობით, თითოეული პოზიციისთვის სამუშაო აღწერილობებში განახლდა და დამტკიცდა კომპეტენციები და თანამდებობრივი ფუნქციები, საბოლოოდ, მომზადებულ დოკუმენტაციას გაეცნო მერიის ყველა მოქმედი, შეფასებას დაქვემდებარებული მოხელე, რაც დაადასტურა კომპეტენციების გაცნობის ოქმზე ხელმოწერით.

დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, მერიაში მარტში, ივნისში და სექტემბერში ეტაპობრივად ჩატარდა შუალედური შეფასებები, შედეგები დაოქმდა და აღინუსხა ადმინისტრაციული ერთეულის მიერ. არ დაფიქსირებულა შეფასების შედეგები გაპროტესტების არცერთი შემთხვევა.

მოხელეთა საბოლოო შეფასება, ჩატარდა ძირითადად დეკემბრის თვეში, გამოსაცდელი ვადით დანიშნულთათვის კი - ეტაპობრივად. საბოლოო შეფასება 82-მა მოხელემ მიიღო, მათგან „საუკეთესო შეფასება“ დაიმსახურა 8 მოხელემ, „კარგი“ - 54-მა და „დამაკმაყოფილებელი“ - 20-მა მოხელემ. გამოვიყენეთ წახალისების ერთერთი ფორმა-მადლობის გამოცხადება, რომელიც დაიმსახურა 16-მა მოხელემ.

შეფასების ანალიზის საფუძველზე, ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის მიერ შემუშავდა პროგრამა მოხელის პროფესიული განვითარებისა და მისი სწავლების საჭიროებათა შესახებ, რაც დამტკიცებულია დაწესებულების სამართლებრივი აქტით და შესაბამისად ატვირთულია ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონით დადგენილი სახელფასო ზღვრების ფარგლებში, გადაიხედა სახელფასო ნიშნულები და დაკორექტირდა საშტატო ნუსხა განახლებული თანამდებობრივი სარგოებით.

ზაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილმა პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების განმსაზღვრელი კომისიამ, მოხელის სამუშაო აღწერილობის ფუნქციური ანალიზიდან გამომდინარე, 2018 წლის დასაწყისში განაგრძო რანგირების პროცესი, განმეორებით გადაიხედა პოზიციები და საბოლოოდ, კანონით გათვალისწინებული პროფესიული რანგების დაკორექტირება 2018 წლის 01 აპრილს დასრულდა.

2018 წელს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, გამოცხადდა ჯამში 27 ღია და ერთი დახურული კონკურსი პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე, მათგან ერთი კონკურსი ჩაიშალა, ერთი -გამარტივებული კონკურსი კი შეწყდა.

2018 წელს მერიაში სტრუქტურული რეორგანიზაცია არ განხორციელებულა.

ამჟამად მერიაში საშტატო ნუსხით განსაზღვრულ 113 თანამდებობაზე ფაქტობრივად დასაქმებულია 109 მოხელე (მათ შორის სამი პოლიტიკური თანამდებობის პირი, 9 პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და 10 განყოფილების უფროსი).

მერიიდან სხვა თანამდებობაზე გადასვლის მოტივითა და დაუყოვნებელი გათავისუფლების მოთხოვნით, 2018 წელს გათავისუფლდა სულ 10 მოხელე, ერთ შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება.

გასულ წელს, სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, მერიის მიერ ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურში მიღებულია ერთი სტაჟირორი, რომელიც, ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული პროგრამის გარგლებში, გაივლის სტაჟირებას და მისი დასრულების შემგომ, მიიღებს დამადასტურებელ სერტიფიკატს ჩვენი დაწესებულებისაგან.

ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის ერთეულს ფაქტობრივად მუდმივად აქვს სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების რეჟიმი, პროცესი არ წყდება და არც ნელდება, რასაც ადასტურებს eDocument, eHRMS, stajireba.gov.ge და hr.gov.ge ელექტრონულ გვერდებზე გაწეული მოცულობითი სამუშაო, რომელზეც წვდომა, ურთიერთთანამშრომლობის ან მონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ყოველთვის ღია და საჯაროა.

## წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილება

2018 წლის 01.01- დან 2019 წლის 01.01- მდე სულ შემოსულია 4677 დავალება, აქედან :

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან 3058 დავალება, რომელზედაც შედგენილია დათვალიერების ოქმი 2400 მდე.
- კერძო პირების განცხადება 1495 ( ცნობა ადგილწარმოშობის შესახებ , ხე - მასალისა და საცხოვრებელი ადგილის. )
- სასჯელაღსრულების დაწესებულება - 3 დავალება.
- სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია, იმერეთის მხარეში - 9 დავალება.
- ბაღდათის პოლიცია - 51 დავალება.
- საქართველოს შრომის , ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ბაღდათის რაიონული განყოფილება - 7 დავალება .
- სსიპ საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტო - 4 დავალება.
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 4 დავალება.
- არასამეწარმეო ( არაკომერციული ) იურიდიული პირი - 19 დავალება.
- სხვა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია ბაღდათის მუნიციპალიტეტში - 5 დავალება .
- საქართველოს პარლამენტი - 6 დავალება .
- პრობაციის ბიურო - 1 დავალება.
- სხვა - 34 .

ამასთან, მოგახსენებთ რომ, ,, მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე სხვადასხვა ობიექტური გარემოების შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელ კომისისზე“ წარდგენილი იყო მოქალაქეთა 258 განცხადება, რომლებიდანაც დაკმაყოფილდა 91, უარი ეთქვა 167 მათგანს, 2 მოქალაქემ თავად თქვა უარი ბინის ქირაზე;

გაიცა ფულადი დახმარება 6500 ლარის ოდენობით;

ქირით უზრუნველყოფილია -16 ოჯახი;

საცხოვრებლის სახურავით დაკმაყოფილდა 67 ოჯახი;

## შესყიდვები და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის ეკონომიკის და საჯარო მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და ის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვცდილობთ გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები. იმისთვის, რომ საჯარო ფინანსების რესურსების განაწილება რაციონალურად განხორციელდეს სრულიად ტრანსპარენტულ გარემოში, სადაც ასევე მინიმიზებულია ყოველგვარი კორუფციული რისკები.

მუნიციპალურ შესყიდვებს წლის განმავლობაში ანხორციელებდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილება.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2018 წლის შესყიდვების გეგმა მიღებული იქნა საბიუჯეტო და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაცვით, მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული პარამეტრების გათვალისწინებით. დამტკიცებული გეგმით შესასყიდი საქონლის, სამუშაოს და მომსახურების მოცულობამ მუნიციპალიტეტისათვის აუცილებლად გასაწევი ხარჯების გათვალისწინებით შეადგინა 532.3 ათასი ლარი, დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში 5435,2 ათასი ლარი. 2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების კვალობაზე შესაბამისად მოხდა შესყიდვების გეგმის კორექტირება და საბოლოოდ წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობის (12902,2 ათასი ლარი) გათვალისწინებით შესყიდვების გეგმამ შეადგინა 7718,9 ათასი ლარი. გეგმაში მნიშვნელოვანი წილი ჰქონდა რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილ (5987,1 ათ. ლარი); რაც გეგმის 77,5%-ია და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილ (200,0 ათასი ლარი) რაც გეგმის 2.6 %-ია) თანხებს.

დამტკიცებული შესყიდვის გეგმის ფარგლებში სულ გაფორმებული იქნა 202 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 6 488,1 ათასი ლარი.

აქედან 48 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა - 6708,7 ათასი ლარი, ხოლო ხელშეკრულება გაფორმდა 5865,5 ათასი ლარი, ანუ ეკონომიამ შეადგინა 843,2 ათასი ლარი.

138 ხელშეკრულება დაიდო გამარტივებული შესყიდვის შედეგად, საერთო თანხით 555,7 ათასი ლარი;

კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად, რომელსაც ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ერთიანად ატარებს - 16 ხელშეკრულება, საერთო თანხით 66,9 ათ. ლარი.

საწვავის კონსოლიდირებული ტენდერის შედეგებიდან გამომდინარე გამარჯვებულ პრეტენდენტს (შპს „რომპეტროლი“) აგს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ გააჩნდა, ამის გამო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე გადაუდებელი აუცილებლობით გამომდინარე გაფორმდა 12( ყოველთვიურად 1 ხელშეკრულება) შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-სთან და „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-სთან საერთო ღირებულებით 65320 ლარი.

გადაუდებელი აუცილებლობით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი თანხმობის საფუძველზე განხორციელდა 7 შესყიდვა საერთო ღირებულებით 377.6 ათასი ლარი.

აღინიშნება “ვაჭრობა დაფარული მონაცემებით აუქციონის გარეშე” ტიპის ტენდერების რაოდენობის მკვეთრი ზრდა. განხორციელებული შესყიდვების მეტი წილი სავარაუდო ღირებულება წარმოადგენდა 50000 ლარზე ნაკლებს, აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფო

შესყიდვებში მონაწილეობა ხელმისაწვდომი გახდა მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის. ამასთან ტენდერების გამოცხადება გარდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისა(რაც განპირობებული იყო პროექტების დაგვიანებით მოწოდებით) მოხდა წლის დასაწყისში , რამაც ხელი შეუწყო რომ სამუშაოები ძირითადად დასრულებულიყო საანგარიშო წლის განმავლობაში.

საინტერესოა განვიხილოთ ზოგიერთი შესყიდვის კატეგორია, პირველ რიგში შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ეკონომიის მაჩვენებელი ყველაზე მეტი დანაზოგით, ისევე როგორც წინა წლებში მაღალია სამშენებლო სამუშაოების კატეგორიაში და საინჟინრო მომსახურების სფეროში. გასულ წელში პრეტენდენტთა საშუალო მონაწილეობის მაჩვენებელი ამ სფეროში იყო 3-ის ტოლი, რამაც იკლო ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემუშავებული ერთიანი სატენდერო დოკუმენტაციის გამო, სადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა პრეტენდენტთა მიმართ მოთხოვნა გამოცდილებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში ინტერესდებიან და მონაწილეობას იღებენ რეგიონიდან გაცილებით მოშორებული ქვეყნებიდანაც.

როგორც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკიდან ჩანს განხორციელებული შესყიდვების 77,5 % მოდის რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელებულ.

2018 წლის ნოემბრის თვეში ძლიერი ქარისა და ნალექების გამო მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი იქნა 200,0 ათასი ლარი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან მიღებული იქნა თანხმობა შესყიდვა განხორციელებულიყო გამარტივებული წესით. მუნიციპალიტეტის შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით, სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებისა და მაჟორიტარი დეპუტატების მონაწილეობით პრიორიტეტად განსაზღვრული იქნა საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, რომლის საფუძველზეც შეძენილი იქნა სახურავის თუნუქი და ხე-მასალა, რაც გადაეცა მოსახლეობას, არსებული ინფორმაციით სახლების მეტი წილი უკვე დახურულია.

მუნიციპალიტეტში 2017 წლის ნოემბრის კოკისპირული წვიმებისაგან გამოწვეული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დეკემბრის ბოლოს საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი იქნა 1700,0 ათასი ლარი, რაც ასახული იქნა შესყიდვის გეგმაში და სამუშაოთა პროექტირებაზე ელექტრონული შესყიდვა ვაჭრობის გარეშე. პრიორიტეტად განსაზღვრული იქნა ხიდების, ბოგირების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და ნაპირსამაგრების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. პროექტირებისა და სამუშაოთა შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერების მეშვეობით, მაგრამ პროექტების დაგვიანებით მოწოდების გამო ტენდერები გამოცხადდა 2018 წლის მეორე ნახევარში, მათ შორის ზოგიერთი ტენდერი ჩავარდა და აღნიშნულის გამო ნოემბრის თვეში შესყიდვების სააგენტოსგან ორ ლოტზე რვა ობიექტის რეაბილიტაციაზე მიღებული იქნა თანხმობა გამარტივებულად შესყიდვაზე, რის გამოც სამუშაოების ნაწილი 315,1 ათასი ლარის ოდენობით გადმოვიდა 2019 წელში.

ისევ პრობლემად რჩება შესყიდული საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი, რაც ხშირად გამხდარა უშუალოდ გამოცხადებული ტენდერის შეწყვეტის ან უფრო მეტად სატენდერო დოკუმენტაციის მრავალჯერ ცვლილების საფუძველი.



ზოგადად შესყიდვის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია დარგობრივი სამსახურების მიერ შესასყიდი საქონლის თუ მომსახურების დეტალური ასახვა.

2018 წლის განმავლობაში გამოცხადებული იქნა და არ შედგა 14 ტენდერი, ხოლო 3 ტენდერი შეწყვეტილი იქნა, უარყოფითი შედეგით დამთავრდა ორი ტენდერი, რომელიც შეეხებოდა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს ( შპს „პეტერემპ კონსტრუქშონის ფილიალი“ და ამხანაგობა „იმერეთი 2018“ ) პრეტენდენტთა არასათანადო კვალიფიკაციის გამო.

2018 წელში გასაჩივრებული იქნა სამი ტენდერი, მათგან ერთი არ დაკმაყოფილდა (საკრაულის გზის რეაბილიტაციაზე), ერთი დაკმაყოფილდა (კაკასხიდი ხანის გზის რეაბილიტაციაზე) და ერთი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებზე).

ზემოთ აღნიშნულ და სხვა სიახლეებზე შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტების მეშვეობით ხდება თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებულ იურიდიულ პირებში შესაბამისი სიახლეების გაცნობა და კონსულტაციების გაწევა, შედეგად გარდა ერთეული შენიშვნებისა ამ ორგანიზაციებში რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ამასთან მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამკვიდრდეს მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორთან შეხვედრების ორგანიზება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესების შესახებ, რადგან გაუთვითცნობიერებლობის გამო მათი მატერიალური თუ შრომითი რესურსების არსებობის მიუხედავად ვერ ახერხებენ შესყიდვებში მონაწილეობის მიღებას.

## საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მოცულობა საბოლოო ცვლილებების შემდეგ განისაზღვრა **12902,2** ათასი ლარით, რაც 296,0 ათასი ლარით მეტია 2017 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობაზე. ზრდა ძირითადად გამოწვეულია „ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დაფინანსების ზრდით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მთლიანი შემოსულობების გეგმიური მაჩვენებელი 12902.2 ათასია ლარია, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12715,8 ათასი ლარი (98,5%) ხოლო 2017 წლის ანალოგიურია მაჩვენებელია: გეგმა-12606.2 ათასი ლარი, ფაქტი-12411.4 ათასი ლარი (98,4%).

2018 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახადების სახით მობილიზებულია 826,4 ათასი ლარი რაც გეგმის 104,6%-ს შეადგენს (გეგმა იყო 790.0 ათასი ლარი). 2017 წელს-875.9 ათასი ლარი, გეგმის 109.5% ( გეგმა - 800,0 ათასი ლარი)

2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობებში ყველაზე დიდი პროცენტული წილი უჭირავს გრანტებს რომელმაც 7790,5 ათასი ლარი შეადგინა. 2018 წელს ფაქტიურად მიღებული გრანტები 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 16,5%-ით. გრანტებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი

უკავია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ გამოყოფილ თანხებს, რომელიც შემცირებულია 1783,6 ათასი ლარით ( 31,7%-ით).

2017 წლის რგფ- დან მიღებულია 5629,6 ათასი ლარი.

## სხვა შემოსავლები

2018 წლის სხვა შემოსავლების გეგმიური მაჩვენებელია 792,9 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 766,3 ათასი ლარი რაც გეგმის 96,6%-ია, ხოლო 2017 წლის ანალოგიური მონაცემებია: გეგმა - 515,0 ათასი ლარი, ფაქტი - 568,6 ათასი ლარი. ( შესრულება 110,4%).

## არაფინანსური აქტივების კლება

2018 წლისთვის არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავალი დაიგეგმა 425,3 ათასი ლარით, ხოლო შესრულდა 328,1 ათასი ლარით, რაც გეგმის 77,1%-ია. ამ შემოსავალში ყველაზე დიდი წილი უჭირავს არასაცხოვრებელი შენობების რეალიზაციას, კერძოდ ყოფილი სახანძროს (180,0 ათასი ლარი) და არქივის (88,0 ათასი ლარი) შენობების გაყიდვით მიღებულ შემოსავალს. აღსანიშნავია, რომ ორივე შენობა გაიყიდა 2018 წლის დეკემბერის მეორე ნახევარში რის გამოც წლის ბოლომდე სრულად ვერ მოხდა ყოფილი არქივის შენობის ღირებულების გადახდა და 19,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოვიდა 2019 წლის იანვარში . აღნიშნული თანხა დააკლდა 2018 წლის ფაქტს.

2017 წელს არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 50,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 35,7%-ია. ( გეგმა - 140,0 ათასი ლარი)

## გადასახდელების ანალიზი

გადასახდელების გეგმაში, პროცენტულად ყველაზე დაბალი შესრულება არაფინანსური აქტივების ზრდაზე მოდის, რომელიც შესრულდა 76%-ით. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია წინა წლების დაუსრულებელი/ჩაუბარებელი სამუშაოებით, სტიქიის და სხვა განკარგულებების ნაშთებით. 2017 წლის 12 დეკემბრის N 2712 განკარგულებით გამოყოფილი სტიქიის ღონისძიებების ლიკვიდაციის 1700,0 ათასი ლარიდან აუთვისებელი დარჩა 624,6 ათასი ლარი. აუთვისებლობის მიზეზს წარმოადგენს შპს „ სწრაფი პროექტირების“ მიერ ვადების დარღვევით მოწოდებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები რის გამოც დროულად ვერ მოხერხდა სამუშაოების დაწყება, თუმცა აღნიშნული განკარგულების ფარგლებში მიმდინარეობს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები რომლებიც დასრულდება 2019 წელს. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელი დარჩა 377,7 ათასი ლარი რადგან შპს „გი-ან 2011“-ს (ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. კაკასხიდიდან სოფ. ხანამდე გზის მონაკვეთის ბეტონის საფარის მოწყობა) სამუშაოების დასრულების ვადად განესაზღვრა 2019 წლის 28 თებერვალი და შპს „ჯ და ჯ“-ს (სოფ. ზედა დიშში ე.წ წყაროს უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია) და ბაღდათის მუნიციპალიტეტს შორის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 31.12.2018 წელს და ვერ მოესწრო დასრულებული პროექტის საბოლოო ანგარიშსწორება. აქვე განვმარტავთ, რომ მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურისა და ფინანსთა სამინისტროებთან

წინასწარი შეთანხმებით და საქართველოს მთავრობის 28/12/2018 წლის N2490 განკარგულების საფუძველზე მიეცა უფლება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვისთვის საქართველოს მთავრობის 20/01/2015 წლის N39 განკარგულების ნაშთების 92%-ის გამოყენების, რამაც თანხობრივად შეადგინა 212,5 ათასი ლარი.

### სარეზერვო ფონდი

2018 წლის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯმა შეადგინა 19,7 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად გაიხარჯა სოციალური საჭიროებების დაფინანსებისთვის

### ნაშთები საანგარიშო წლის ბოლოს

ნაშთმა საანგარიშო წის ბოლოს შეადგინა 1622,2 ათასი ლარი,

ხოლო 2017 წლის ბოლოს ნაშთი შეადგენდა 3002,4 ათას ლარს.

წინა წელთან შედარებით საანგარიშო პერიოდში ნაშთი შემცირდა 1380,2 ათასი ლარით.

## ინფრასტრუქტურის და სივრცითი

### მოწყობის სამსახური

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა არსებული ინფრასტრუქტურის განვითარება და ახლის შექმნა. სამწუხაროდ დღეისათვის ბაღდათის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია იმ მოცულობის ადგილობრივი შემოსავლები, რომ საკუთარი რესურსებით მოახერხოს გამოვლენილი საჭიროების დაკმაყოფილება. სწორედ ამიტომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, რომელიც ქვეყნის რეგიონული განვითარების პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ყოველწლიურად ფონდიდან გაწეული დაფინანსება ხასიათდება მზარდი დინამიკით.

მუნიციპალიტეტს 2018 წელს 8 ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად გამოეყო 3 894 879 ლარი. აქედან 6 პროექტი დაფინანსდა წლის პირველ ნახევარში, ხოლო 2 პროექტზე დაფინანსება გამოიყო 2018 წლის მეორე ნახევარში (ცხრილი #1).

### ცხრილი #1

პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)	ფაქტობრივი ღირებულება (ლარი)	გზის საერთო სიგრძე (მ)	2018-ში რეაბილიტირებული (მ)	მიმწოდებელი

რ.გ.პ.ფ.					
1. სოფ. პირველი და მეორე ოზჩის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინოულთან დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია.	1019267,96	1013259,82	6 760	3 722	შ.პ.ს. ორიენტირი
2. სოფ. პირველ ოზჩაში მთისძირისკენ მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.	348192,02	348191,32	3 960	1 500	შ.პ.ს. ორიენტირი
3. ბაღდათში სალხინოს ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	332244	327263,97	2 000	1 200	შ.პ.ს. საპოვნელა+
4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიშში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები	408001	406843,92	3 860	1 400	შ.პ.ს. შარა
5. ბაღდათი-საკრაულას ადგ. მნიშვნელობის ს/გზის რეაბილიტაცია	797000	796503,66	19 500	4 900	შ.პ.ს. ერ ტე დე
6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. კაკასხიდიდან სოფ. ხანამდე გზის მონაკვეთის ბეტონის საფარის მოწყობა	677777	657308,44	4 300	2 200	შ.პ.ს. გი-ან 2011
7. სოფ. ზედა დიშში ე.წ. წყაროს უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	200777	200191,52	557	557	შ.პ.ს. ჯ და ჯ
8. სოფ. დიშში ნერგაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	64777	62888,18	252	252	შ.პ.ს. ჯ და ჯ

სამუშაოების მოწოდებაზე სხვადასხვა ორგანიზაციასთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შვიდი ხელშეკრულება. რამდენიმე პროექტის განხორციელება დაიწყო 2017 წელს და გაგრძელდა 2018 წელში. სოფ. კაკასხიდიდან სოფ. ხანამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის

დასრულება იგეგმებოდა 2018 წლის 30 სექტემბერს. ბაღდათის მუნიციპალიტეტმა კანონმდებლობით და ხელშეკრულების პირობებით რეგულირებული უფლებამოსილების ფარგლებში არაერთგზის გაითვალისწინა მიმწოდებლის თხოვნა, რაც გამოიხატა ავანსის სრული მოცულობით გაცემაში, 2017 წლის ვალდებულების 28%-ით შემცირებაში. მიუხედავად ამისა სახელშეკრულებო პერიოდში მიმწოდებელმა ვერც ერთ ეტაპზე ვერ უზრუნველყო გეგმა-გრაფიკის დაცვა, ის მუდმივად იყო ცრუ დაპირებების გაცემის რეჟიმში, რასაც ვერ ადასტურებდა რეალურად განხორციელებული საქმით, აღნიშნული საფრთხის ქვეშ აყენებდა პროექტის განხორციელებას. ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გამო ბაღდათის მუნიციპალიტეტი იძულებული გახდა მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 აპრილის #41 553 ბრძანებით შეეწყვიტა ხელშეკრულება და დარჩენილ სამუშაოებზე განხორციელება ახალი შესყიდვა. აღნიშნული წერილობით ეცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენდა 3 848 035 ლარს. საკასო შესრულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 92 %-ზე მეტი, რაც იმერეთის რეგიონში ყველაზე მაღალ მაჩვენებელია. პროექტების მიმდინარეობისას ხდებოდა სხვადასხვა სახის აუცილებელი კორექტირებები, ამჟამად რგპფ-დან გასულ წელს დაფინანსებული ყველა პროექტი დასრულებულია.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის #2712 განკარგულებით 2017 წლის ოქტომბრის თვის სტიქიის (წვიმა) შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის გამოიყო 1 700 000 ლარი. შვიდ დაზიანებულ ობიექტზე მუნიციპალიტეტს გააჩნდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, მოხდა მათი დაკორექტირება და სწრაფად მოხერხდა სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. დაფინანსების ფარგლებში შ.პ.ს. „ბაღდათის ავტოგზასთან“ და შ.პ.ს. „აბგ“-სთან გაფორმდა სამი ხელშეკრულება 110 789 ლარის ღირებულების სამუშაოებზე- ქ. ბაღდათში ჯავახიშვილის ქუჩაზე რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის, ქ. ბაღდათში ჯავახიშვილის ქუჩაზე რკ/ბეტონის კიუვეტის მოწყობის, ქ. ბაღდათში ჯავახიშვილის ქუჩაზე რკ/ბეტონის არხის ცხაურით მოწყობის, სოფ. ზეგანში მდ. საკრაულაზე კიდული ხიდის რეაბილიტაციის, სოფ. ზედა დიშში ტაძრისკენ მიმავალი გზის მონაკვეთის გასამაგრებლად ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის, სოფ. შუბანში რკ/ბეტონის მილხიდის მოწყობის, ქ. ბაღდათში დადიანის ქუჩაზე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად დასრულდა 2018 წლის მაისის პირველ ნახევარში.

2018 წლის იანვარში ორ ლოტად გამოცხადდა სტიქიისგან დაზიანებული 75 ობიექტის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა (NAT 180000610; SPA 180000819). ელ. ტენდერების შედეგებით გამარჯვებულად გამოცხადდა ერთი და იგივე ორგანიზაცია შ.პ.ს. „სწრაფი პროექტირება“ და მასთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 7 თებერვლის #15 და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 15 თებერვლის #26 ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების პირობების მიხედვით მიწოდების ვადები განისაზღვრა 2018 წლის 8-16 მარტამდე.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 15 თებერვლის #26 ხელშეკრულებით წარმოსადგენი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და საექსპერტო დასკვნა შ.პ.ს. „სწრაფი პროექტირების“ მიერ წარმოდგენილი იქნა 158 (ასორმოცდათვრამეტი) დღის დაგვიანებით 2018 წლის 21 აგვისტოს, რამაც დააგვიანა სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის პროცესი.

წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე რამდენიმე ლოტად კვლავ გამოცხადდა სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა და გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები.

15 ხელშეკრულების ფარგლებში სტიქიისგან დაზიანებულ 52 ობიექტზე განხორციელდა მდინარეთა ნაპირსამაგრების, გზის გვერდულების აღდგენა-გამაგრების, სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის და სხვა მსგავსი ტიპის სამუშაოები, სოფ. ზეგანში 2 ობიექტზე რეაბილიტაციის პროცესი დასრულების ეტაპზეა (ცხრილი #2).

**ცხრილი #2**

პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)	მიმწოდებელი
სტიქია		
1. ქ. ბაღდათში ჯავახიშვილის ქუჩაზე რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა	17547,88	შ.პ.ს. აბგ
2. ქ. ბაღდათში ჯავახიშვილის ქუჩაზე რკ/ბეტონის კიუვეტის მოწყობა	2454,39	შ.პ.ს. აბგ
3. ქ. ბაღდათში ჯავახიშვილის ქუჩაზე რკ/ბეტონის არხის ცხაურით მოწყობა	3330,90	შ.პ.ს. აბგ
4. სოფ. ზეგანში მდ. საკრაულაზე კიდული ხიდის რეაბილიტაცია	14314,73	შ.პ.ს. აბგ
12/03/2018 წლის №54 ხელშეკრულება	სახელშეკრულებო ღირებულება 37648 ლარი.	
5. სოფ. ზედა დიმში ტაძრისკენ მიმავალი გზის მონაკვეთის გასამაგრებლად ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა	17810,5	შ.პ.ს. ბაღდათის ავტოგზა
6. სოფ. შუბანში რკ/ბეტონის მილხიდის მოწყობა	15210,5	შ.პ.ს. ბაღდათის ავტოგზა
12/03/2018 წლის №53 ხელშეკრულება	სახელშეკრულებო ღირებულება 33021 ლარი.	

7. ქ. ბაღდათში დადიანის ქუჩაზე საყრდენი კედლის მოწყობა	40120	მ.პ.ს. ბაღდათის ავტოგზა
12/03/2018 წლის №52 ხელშეკრულება	სახელშეკრულებო ღირებულება 40120 ლარი.	
8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. წითელხევში კოტორეიშვილების უბანში მდ. კორისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები	77302,2	ამხანაგობა აია 777
9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. წითელხევში ე.წ. ჭალებში მდ. კორისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები;	12541,03	ამხანაგობა აია 777
10. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. წითელხევში თეთრ ეკლესიასთან მდ. კორისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები;	50856,38	ამხანაგობა აია 777
11. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. წითელხევში ვერულაშვილების უბანში მდ. კორისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები;	32644,23	ამხანაგობა აია 777
12. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. წითელხევში ლილუაშვილების უბანში მდ. კორისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები;	31433,16	ამხანაგობა აია 777
16/07/2018 წლის №122 ხელშეკრულება	სახელშეკრულებო ღირებულება 204777 ლარი.	
ჯამი 8-12		
13. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. წითელხევში კოჩაძე-სირბილაძეების (ფაიქიძეების) უბანში მდ. კორისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები;	131235,14	ამხანაგობა აია 777
14. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერსათში ჯიხვაძეების უბანში გზის გვერდულის გამაგრების სამუშაოები;	46768.52	ამხანაგობა აია 777

15. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. შუბანში ჩამლილი შიდა სასოფლო საავტომობილო გზის აღსადგენად გაბიონის მოწყობის სამუშაოები;	9773,34	ამხანაგობა აია 777
17/08/2018 წლის №137 ხელშეკრულება ჯამი 13-15	სახელშეკრულებო ღირებულება 187777 ლარი.	
16. ქ. ბაღდათში გუბელაძის ქუჩის შესახვევში გრუნტის სანიღვრე არხის, რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის, რკ/ბეტონის არხის ცხაურით და მილხიდის მოწყობის სამუშაოები;	13767,6	შ.პ.ს. ლოდი +
17. ქ. ბაღდათში ენდელაძის ქუჩაზე გრუნტის სანიაღვრე არხის, რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის, რკ/ბეტონის არხის ცხაურით და მილხიდის მოწყობის სამუშაოები;	23564,93	შ.პ.ს. ლოდი +
18. ქ. ბაღდათში თამარ მეფის ქუჩის I შესახვევში რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;	9662,31	შ.პ.ს. ლოდი +
19. ქ. ბაღდათში თამარ მეფის ქუჩაზე რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;	11173,93	შ.პ.ს. ლოდი +
20. ქ. ბაღდათში თბილისის ქუჩაზე სანიაღვრე მილის სათავისებით მოწყობის სამუშაოები;	2844,37	შ.პ.ს. ლოდი +
21. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველ ობჩაში თედორაძეების უბანში წყალგამტარი ბოგირის აღდგენის სამუშაოები;	8181,84	შ.პ.ს. ლოდი +
22. ქ. ბაღდათში, მ. კოსტავას ქუჩის III ჩიხში რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;	6142,16	შ.პ.ს. ლოდი +
23. ქ. ბაღდათში მ. კოსტავას ქუჩის I ჩიხში დახურული სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები;	13550,85	შ.პ.ს. ლოდი +
16/08/2018 წლის №136 ხელშეკრულება	სახელშეკრულებო ღირებულება 88888 ლარი.	



24. ქ. ბაღდათში შ. რუსთაველის ქუჩაზე დახურული სადრენაჟე სისტემის და მიწის ვაკისის გამაგრების მოწყობა	43882	ამხანაგობა „იმერეთი 2018“
25. ქ. ბაღდათში ეპარქიის რეზიდენციის მიმდებარედ მდ. ხანისწყლის სანაპიროს გასწვრივ ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაო	72799	ამხანაგობა „იმერეთი 2018“
26. ქ. ბაღდათში თამარ მეფის ქუჩაზე მეორე ჩიხში დაზიანებული ვაკისის აღდგენის და რკ/ბეტონის არხის მოწყობის სამუშაოები	28559	ამხანაგობა „იმერეთი 2018“
4/10/2018 წლის №162 ხელშეკრულება ჯამი 24-26	სახელშეკრულებო ღირებულება 145241 ლარი.	
27. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიშში ებანოიძეებისა და მინაძეების უბანში გზის გვერდულის გამაგრება და რკ/ბეტონის ღია არხის მოწყობა.	6915	ამხანაგობა „იმერეთი 2018“
28. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიშში გრძელიძეების უბანში (უკლებას სკოლამდე) გზის დახრეშვა, გრუნტის არხის გაწმენდა და მილხიდის მოწყობა.	7338	ამხანაგობა „იმერეთი 2018“
29. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიშში მაჭავარიანებისა და ნერგაძეების უბანში საუბნო წყაროს სათავისის და მისასვლელი გზის ბეტონით მოწყობა .	7805	ამხანაგობა „იმერეთი 2018“
30. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიშში უკლებას სკოლასთან დამეწყრილ საუბნო გზაზე გვერდულის გამაგრების მოწყობა.	14791	ამხანაგობა „იმერეთი 2018“
31. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიშში ზაზა ნატრიაშვილის სახლთან სანიაღვრე არხის, მილხიდის და დაზიანებული გზის ვაკისის დახრეშვის მოწყობა.	31420	ამხანაგობა „იმერეთი 2018“
32. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიშში გიორგიძეების უბანში მილხიდის მოწყობა.	9201	ამხანაგობა „იმერეთი 2018“

33. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. როკითის და საიმედოს დამაკავშირებელი კიდული ხიდის გასწვრივ მდ. ხანისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობა.	128687	ამხანაგობა „იმერეთი 2018“
34. სოფ. დაფენილში დასახრეში დაზიანებული ვაკისის აღდგენის სამუშაოები.	23884	ამხანაგობა „იმერეთი 2018“
16/10/2018 წლის №168 ხელშეკრულება ჯამი 27-34	სახელშეკრულებო ღირებულება 230041 ლარი.	
35. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდველაში ბართაიების უბანში მდ. ხანისწყალზე მდინარის კალაპოტის გაწმენდა/შეცვლა და ნაპირსამაგრის მოწყობა.	67160,02	შ.პ.ს „გიკო“
36. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. როხში მდ. კორისწყალზე კიდული ხიდის მიმდებარედ სოფიო მჟავანაძის სახლთან ნაპირსამაგრის მოწყობა.	115958,09	შ.პ.ს „გიკო“
15/10/2018 წლის №167 ხელშეკრულება ჯამი 35-36	სახელშეკრულებო ღირებულება 183121 ლარი.	
37. ქ. ბაღდათში ჯავახიშვილის ქუჩაზე ჩამოშლილი გზის გვერდულის გასამაგრებლად 4 ადგილზე რკ/ბეტონის საყრდენი კედელის მოწყობის სამუშაოები	74063	ამხანაგობა „იმერეთი 2018“
38. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. როხში კაცაძეების უბანში საყრდენი კედელის მოწყობა-	15467	ამხანაგობა „იმერეთი 2018
6/11/2018 წლის №176 ხელშეკრულება	სახელშეკრულებო ღირებულება 89531 ლარი.	
39. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ზეგანის გზაზე (ე.წ. ბალაგანი) ჩაშლილი გზის გვერდულის მოწყობა	14634	შ.პ.ს. ლოდი +
40. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ზეგანის გზაზე (ე.წ. ბრაზილია) ჩაშლილი გზის გვერდულის მოწყობა	49006	შ.პ.ს. ლოდი +

41. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ზეგანში გიგამვილების უბანში რკ/ბეტონის არხის ცხაურით მოწყობა	4345	შ.პ.ს. ლოდი +
42. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ზეგანში დოგრაშვილების უბანში შიდა საუბნო გზის დაპროფილების და მოხრეშვის მოწყობა	10435	შ.პ.ს. ლოდი +
6/11/2018 წლის №175 ხელშეკრულება	სახელშეკრულებო ღირებულება 78419,71 ლარი.	
43. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა და ზედა ზეგანის საზღვართან ჩაქცეული საავტომობილო გზის აღსადგენად გვერდულის გამაგრების მოწყობა	55014	შ.პ.ს. „იმედი“
44. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. წიფაში საღალატო ღელის მილხიდის სათავისების მოწყობა	3919	შ.პ.ს. „იმედი“
45. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ზეგანის ცენტრში (ე.წ.ჭალა) გზის გვერდულის გამაგრების მოწყობა	15622	შ.პ.ს. „იმედი“
6/11/2018 წლის №174 ხელშეკრულება	სახელშეკრულებო ღირებულება 74555 ლარი.	
46. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ზეგანში საჭილიის ხიდთან ჩაქცეული საავტომობილო გზის აღსადგენად გვერდულის გამაგრების მოწყობა	69600	შ.პ.ს. „ა.ლ.მ. ევროტექნიკსი“
19/11/2018 წლის №181 ხელშეკრულება	სახელშეკრულებო ღირებულება 69600 ლარი.	
47. ქ. ბაღდათში მ. კოსტავას ქუჩის IV ჩიხში საყრდენი კედელის მოწყობისა და ჩაქცეული გზის ვაკისის აღდგენის სამუშაოები	37615	შ.პ.ს. „ა.ლ.მ. ევროტექნიკსი“

48. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველ ობჩაში მდ. ლუხუტას ხეობაში დოგრამვილების შესახვევთან ჩამომლილ საავტომობილო გზაზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები	22229	შ.პ.ს. „ა.ლ.მ. ევროტექნიკსი“
49. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველ ობჩაში ბურჯანაძეების უბანში (დამეწყვილი) გზაზე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები	7050	შ.პ.ს. „ა.ლ.მ. ევროტექნიკსი“
50. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ვარციხეში ავთანდილ გიორგაძის და ბიძინა მამისეიშვილის სახლთან სანიაღვრე არხის გაწმენდა და მილხიდის მოწყობა	4786	შ.პ.ს. „ა.ლ.მ. ევროტექნიკსი“
19/11/2018 წლის №184 ხელშეკრულება	სახელშეკრულებო ღირებულება 71680 ლარი.	
51. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ხანში საყრდენი კედელის მოწყობის სამუშაოები	19201,6	შ.პ.ს. „ა.ლ.მ.
52. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში ნერგაძეების უბანში (ამირან მაჭავარიანის სახლთან) რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის, რკ/ბეტონის არხის ცხაურით მოწყობა	11356	შ.პ.ს. „ა.ლ.მ. ევროტექნიკსი“
53. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. როხში საავტომობილო ხიდის მიმდებარედ მდ. კორისწყალის კალაპოტის შეცვლის და გაწმენდის სამუშაოები	15805	შ.პ.ს. „ა.ლ.მ. ევროტექნიკსი“
54. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. როხში ცაგარეიშვილების უბანში გრუნტის სანიაღვრე არხის, მილხიდის მოწყობის და მდ. კორისწყალის კალაპოტის შეცვლის სამუშაოები	58964,02	შ.პ.ს. „ა.ლ.მ. ევროტექნიკსი“
19/11/2018 წლის №183 ხელშეკრულება	სახელშეკრულებო ღირებულება 105326,60 ლარი.	

სტიქიით დაზიანებული შიდასაუბნო გზების რეაბილიტაციისთვის შესყიდული იქნა 3500 კბ.მ. ქვიშა-ხრემოვანი ნარევი და მუნიციპალური ტექნიკის გამოყენებით განხორციელდა სამუშაოები.

შ.პ.ს. „აბგ“-სთან გაფორმებული #55 ხელშეკრულების შესაბამისად ადგილობრივი შემოსავლების დაფინანსებით განხორციელდა ქ. ბაღდათში მინი საფეხბურთო და საკალათბურთო სტადიონების რეაბილიტაციის სამუშაოები ღირებულებით 28806 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2017 წლის 8 სექტემბრის #135 ხელშეკრულების საფუძველზე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობას ახორციელებს შ.პ.ს. „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“. ორგანიზაციასთან გაფორმებულია 539 532 ლარის ღირებულების ხელშეკრულება და მათი მხრიდან მომსახურება განხორციელდება 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. საზედამხედველო მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ყოველ საზედამხედველო გადაცემულ ობიექტზე, დადასტურებული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5 %-ით. პროექტების მიმდინარეობაზე დაწესებული კონტროლის მიუხედავად არსებობდა მიმწოდებლების მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტები. მუნიციპალიტეტის მხრიდან აღნიშნულზე ხდებოდა სათანადო რეაგირება, მოქმედი კანონმდებლობის და ხელშეკრულებების პირობების მიხედვით.

2019 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია სხვადასხვა კატეგორიის 13 მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. პროექტების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 7 256 376 ლარს, აქედან 11 პროექტის (6 611 776 ლარი) წარდგენა იგეგმება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში, ხოლო 2 პროექტის (644 600 ლარი) სავარაუდო დაფინანსების წყაროა მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი (ცხრილი #3, ცხრილი #4).

**ცხრილი #3**

რგპვ	სავარაუდო ღირებულება (ლარი)
სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	451,760
ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები	400,000
სოფ. ფერსათისა და სოფ. შუბანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა	1,806,580
სოფ. წითელხევის შემოვლითი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობა	1,000,000

სოფ. წითელხევში მეფარიშვილების უბნიდან თეთრი ეკლესიისკენ მიმავალი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობა	460,000
სოფ. დიმი-ჯ. ღვინჯილიას სახელობის საჯარო სკოლა-სოფ. პირველი ობჩის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობა	850,000
სოფ. როხში ე. წ. შემოვლითი ს/გზის ბეტონის საფარის მოწყობა	500,000
რევაზ ლალიძის სახელობის ბაღდათის კულტურის ცენტრის შენობის სახურავის რეაბილიტაცია, ცენტრალური გათბობის და კონდიციონერების სისტემის მოწყობა, დიდი დარბაზის განათება-გახმოვანება, შიდა კოსმეტიკური რემონტი	183,436
ქ. ბაღდათში ა.წერეთლის ქ.-ის #10-ში მდებარე შენობის რეაბილიტაცია თვითმართველობის ორგანოებისა და ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის განსათავსებლად	300,000
ქალაქ ბაღდათის ტერიტორიაზე მდინარე ხანისწყლის სანაპიროზე ახალი ტურისტული-რეკრეაციული ზონის მოწყობა.	500,000
სოფ. ფერსათში სასმელი წყლით მომარაგების სისტემის შიდა ქსელის მოწყობა	160,000
	6,611,776

#### ცხრილი #4

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	სავარაუდო ღირებულება (ლარი)
სოფ. ხანში შიდა სასოფლო გზის მონაკვეთის ბეტონის საფარის მოწყობა	494,600
სოფ. ხანში სასმელი წყლით მომარაგების სისტემების მოწყობა	150,000
	644,600

წარმოდგენილი პროექტებიდან 8 არის ადგილობრივი და შიდა სასოფლო დანიშნულების გზების რეაბილიტაცია, 1 მუნიციპალური საკუთრების შენობის რეაბილიტაცია თვითმართველობის ორგანოების და ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის განსათავსებლად, 2 (სოფლების ფერსათი; ხანი) სასმელი წყლით მომარაგების სისტემების მოწყობა, 1 ქ. ბაღდათში მდ. ხანისწყლის სანაპიროზე ახალი ტურისტულ-რეკრეაციული ზონის მოწყობა და 1 პროექტი ითვალისწინებს რევაზ ლალიძის სახელობის ბაღდათის კულტურის ცენტრის შენობის რეაბილიტაციას.

7 საგზაო კატეგორიის პროექტიდან ორი- სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები რგპფ-ს დაფინანსებით დაიწყო 2017 წელს, გაგრძელდა 2018 წელს და მათი დასრულება იგეგმება წელს, პროექტების ფარგლებში უკვე მოწყობილია 5700 გრძ. მ. გზის კაპიტალური საფარი. მათი დასრულების შემდეგ დამატებით ექსპლოატაციაში შევა 2100 გრძ. მ. საფარი.

3 ობიექტზე, რომელთა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მზად იყო საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #2577 განკარგულებით უპრეცედენტოდ ადრე გამოიყო თანხა (2 658 340 ლარი), ამიტომ სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაციის და ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის, სოფ. ფერსათისა და სოფ. შუბანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე, განხორციელებული შესყიდვების საფუძველზე ხელშეკრულებები უკვე გაფორმებულია და სამუშაოები მიმდინარეობს. ასევე გამზადებულია მაღალმთიანი სოფ. ხანის შიდასასოფლო გზების რკ. ბეტონის საფარის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტის ღირებულება შედგენს 494 600 ლარს. სათანადო დაფინანსების მისაღებად საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობისათვის წერილობით მივმართეთ სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს იმერეთის მხარეში.

მზადდება 4 გზის-სოფ. წითელხევის შემოვლითი საავტომობილო გზის, სოფ. წითელხევში მეფარიშვილების უბნიდან თეთრი ეკლესიისკენ მიმავალი საავტომობილო გზის, სოფ. დიმი-ჯ. ღვინჯილიას სახელობის საჯარო სკოლა-სოფ. პირველი ობჩის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის და სოფ. როხში ე. წ. შემოვლითი ს/გზის ბეტონის საფარის მოწყობის პროექტები. 2019 წელს იგეგმება 2 810 000 ლარის ღირებულების სამუშაოების წარმოება. ამ პროექტების ფარგლებში სულ მოეწყობა 11000 გრძ. მ-ზე მეტი კაპიტალური საფარი, მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგენს 2100 კაცს.

რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის ცენტრი ექსპლოატაციაში შევიდა 1991 წელს. შენობის სახურავი მთლიანად გამოსაცვლელია, რადგან სიძველის გამო წყალი ჩამოდის მთელ პერიმეტრზე. წლების განმავლობაში სახურავიდან ჩამონადენმა წყალმა მთლიანად დააზიანა მცირე დარბაზი, რომელსაც სჭირდება სრული რეაბილიტაცია. მშენებლობის დროს არ იყო გათვალისწინებული შენობის გათბობა-ვენტილაცია, რის გამოც შემოდგომიდან ზაფხულამდე თითქმის შეუძლებელია ღონისძიების ჩატარება. დაგეგმილია 2 წელზე გათვლილი რეაბილიტაციის პროცესის დაწყება და საამისოდ 2019 წელს იგეგმება 183 436 ლარის ღირებულების სამუშაოების წარმოება. აღნიშნულთან დაკავშირებით სედეა ელ. ტენდერტი და მიმდინარეობს შერჩევა-შეფასების პროცესი.

მუნიციპალიტეტში ამჟამად ფუნქციონირებს 25-ზე მეტი საოჯახო მარანი და ორი მუზეუმი. კურორტ საირმეს ბევრი ადამიანი სტუმრობს. იზრდება საოჯახო სასტუმროების რაოდენობა, ბაღდათი-საირმე-აბასთუმანის მიმართულებით მიმდინარეობს გზის მშენებლობა, რომელიც ბაღდათს დაკავშირებს აბასთუმანთან და კიდევ უფრო გაიზრდება ტურისტების მოძრაობა. ამიტომ ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მოსაწყობად იგეგმება მუნიციპალურ საკუთრებაში

არსებული ერთ-ერთი შენობის რეაბილიტაცია. აღნიშნული გაზრდის ტურისტების ინფორმირებულობას.

ქ. ბაღდათის ტერიტორიაზე მდ. ხანისწყლის პირას განსაზღვრულია მრავალფუნქციური ტურისტულ-რეკრეაციული ზონის მშენებლობის დაწყება. ეს ადგილი გახდება ტურისტებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლების გართობისა და დასვენების მნიშვნელოვანი ცენტრი.

მსხვილი პროექტების გარდა მიმდინარე წელს განხორციელდება მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული წვრილი ინფრასტრუქტურული პროექტებიც. აღნიშნულის დაფინანსების ძირითადი წყარო იქნება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 346 000 ლარი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მოსახლეობამ შეარჩია პრიორიტეტები, რომელთა ნუსხაც უკვე დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. ჩვენი თანადაფინანსება 45,180 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის #13 განკარგულების „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ შესაბამისად საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2019 წელს 5 პროექტი დაფინანსდება 410 000 ლარით (ცხრილი 5).

**ცხრილი #5**

საჯარო სკოლის დასახელება	სამუშაოების დასახელება	სამუშაოს ღირებულება
სოფ. დიმის #1 საჯარო სკოლა	სოფ. დიმის #1 საჯარო სკოლის სპორტ. დარბაზის რეაბილიტაცია	70,854
ქ. ბაღდათის #1 საჯარო სკოლა	ქ. ბაღდათის #1 საჯარო სკოლის ეზოში ძველი საპირფარეშოს შენობის დემონტაჟი და ახალი შენობის მშენებლობა	67,537
სოფ. ფერსათის #2 საჯარო სკოლა	სოფ. ფერსათის #2 საჯარო სკოლის შენობის მე-2 კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია	112,317
სოფ. როკითის საჯარო სკოლა	სოფ. როკითის საჯარო სკოლის საპირფარეშოს შენობის რეაბილიტაცია	13,698
სოფ. ფერსათის #2 საჯარო სკოლა	სოფ. ფერსათის #2 საჯარო სკოლის შენობის გათბობის სისტემის მოწყობა	146,000
		410,406



სტიქიური მოვლენების პრევენციული ღონისძიებებისათვის მუნიციპალიტეტს წელს გამოეყოფა 150 000 ლარი. დაფინანსების ფარგლებში იგეგმება ქ. ბაღდათში მდ. ხანისწყალზე ჭავჭავაძის ქუჩის გასწვრივ ნაპირსამაგრის მოწყობა.

ცენტრალური ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს იგეგმება ამბულატორიების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება, კონკრეტულად აღნიშნული საკითხი შეეხება შემდეგ სოფლების ამბულატორიებს: ვარციხე, ხანი, ნერგეთი, მეორე ობჩა, როხი.

ადგილობრივი შემოსავლების მობილიზების კვალდაკვალ ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდება საკუთარი შემოსავლებით.

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ნაწილი მზადაა, ხოლო დანარჩენზე ხელშეკრულებები გაფორმებულია და მიმდინარეობს მათი დამუშავება.

## ეკონომიკის სამსახური

2017 წლის ბოლოს ბაღდათის მუნიციპალიტეტი ჩემი ხელმოწერით შევუერთდით ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ და გამოვთქვით თანამშრომლობის სურვილი და მზაობა გავიზიაროთ დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება, აქტიურად ვითანამშრომლოთ კერძო და სამოქალაქო სექტორთან, ერთად დავგეგმოთ მომავალი ქმედებები, ხელი შევუწყოთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას, ამასთან ავიღეთ ვალდებულება 1 წლის განმავლობაში შეგვემუშავებინა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

2018 წელს “მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ევროკავშირის ინიციატივის სამდივნოს ტექნიკური დახმარებით, მათ მიერ მოწოდებული გაიდლაინების შესაბამისად, ადგილობრივი ეკონომიკური აქტიორების პარტნიორობით შემუშავებული იქნა „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LEDP) ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების თანაბარი ჩართულობით. გეგმა ეფუძნება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას და მიდგომებს, მიმართულია კერძო სექტორის ზრდისაკენ, რათა საბოლოო ჯამში ხელი შეეწყოს ადგილობრივ განვითარებასა და დასაქმებას.

შემუშავებული გეგმის მიზანი, არსებული მდგომარეობის გაანალიზებით, მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი კეთილდღეობის მიღწევის მხარდამჭერი ამოცანების განსაზღვრა და კონკრეტული ქმედებების დაგეგმვაა. გეგმა ფოკუსირებული და ორიენტირებულია მხოლოდ ეკონომიკის განვითარების მიმართულებებზე. დოკუმენტში ასახულია მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის ეკონომიკური ანალიზი, გამოწვევები, ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა და მიზნები. მიზნების მისაღწევად ღონისძიებები გაწერილია თანდართულ ორწლიან სამოქმედო გეგმაში. ასევე

გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებისას მოხდა ადგილობრივ ხელისუფლების, ბიზნეს სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კონსულტაციების გამართვა, ინიციატივის კონცეფციის გაცნობა, ჩატარდა შეხვედრები ეკონომიკური აქტივობების ცალკეული სექტორებთან, საჭიროებების გამოვლენის, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. გამოვლინდა დაინტერესებული მხარეები ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელებაზე მათი გავლენისა და დაინტერესების გათვალისწინებით, შეირჩა დამგეგმავი პარტნიორები პარტნიორთა საბჭოს სახით, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ კერძო სექტორის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მერის ბრძანებით დაინიშნა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ოფიცერი (LEDO) (რომელთანაც კომუნიკაციას ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში ახდენდა კერძო სექტორის წარმომადგენლები) და შეიქმნა უშუალოდ გეგმის შემუშავებელი ჯგუფი, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის შეთანხმება მოხდა პარტნიორთა საბჭოსთან. კერძო და არასამთავრობო სექტორს ეთხოვათ წარმოედგინათ 2 წევრი თითოეული სექტორიდან.

4 შეხვედრა ჩატარდა მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან სხვადასხვა ეკონომიკური სექტორების მიხედვით შერჩეულ ფოკუს ჯგუფებთან. 1 გაფართოებული შეხვედრა მუნიციპალიტეტში მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების, საჯარო სექტორის და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან. 1 შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან, 1 შეხვედრა სკოლის მოსწავლეებსა და მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოს წევრებთან. შეხვედრების მიმდინარეობისას დამსწრე პირებს ეთხოვათ ანკეტური კითხვარების შევსება, კითხვარები შემუშავებული იქნა ინიციატივის სამდივნოს მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. შეხვედრების დროს შეგროვდა როგორც ეკონომიკური ანალიზისთვის საჭირო მონაცემები, ასევე მოხდა საჭიროებების გამოვლენა, ხედვისა და მიზნების ვერსიების შემუშავება. შეხვედრების ორგანიზებისას გათვალისწინებული იქნა გენდერული ბალანსი.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა შემდეგნაირად გადანაწილდა: 2 წარმომადგენელი კერძო სექტორიდან, 2 წარმომადგენელი არასამთავრობო სექტორიდან, და 4 წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის მერიიდან. საკვანძო გადაწყვეტილებების მიღება ხმათა უმრავლესობით მოხდა, უმეტესი ნაწილი კონსენსუსის გზით შეჯერდა. გეგმის შემუშავების პროცესში საკითხების განხილვა პარიოდულად ხდებოდა პარტნიორთა საბჭოზე.

იყო გამოწვევები, თავიდან რთული აღმოჩნდა პარტნიორულ ურთიერთობებზე საუბარი, შეხვედრების ორგანიზებისას ბიზნეს სექტორის ნაწილი წარმომადგენლები კარჩაკეტილ პოზიციას იკავებდნენ. შეხვედრების შემდეგ ხშირი იყო დამატებითი შეხვედრების ინიციატივები და სატელეფონო კომუნიკაცია ბიზნეს სექტორიდან.

დიალოგის პროცესში განიხილული იქნა სექტორებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები, იდეების დონეზე მიღწეული იქნა შეთანხმება გარკვეულ პარტნიორულ ურთიერთობებზე. მაგალითად, კურორტ საირმის კერძო მეწარმეთა ასოციაციის წევრები და საოჯახო მარნების წარმომადგენლები შეთანხმდნენ თანამშრომლობასა და ერთმანეთის პროდუქტების რეკლამირებაზე.

მერის ინიციატივით შეხვედრების მიმდინარეობისას სექტორების მიხედვით დაიგეგმა პარტნიორული ურთიერთობები, დამატებით ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა მეღვინეებთან და მევენახეებთან. შეიქმნა „ბაღდათის საოჯახო მარნების გილდია“, რომლებიც გაერთიანდნენ ბიო ღვინის წარმოების დანერგვის იდეით, გილდიის წევრების მიერ წარმოებული ღვინო ბაზარზე დაიმკვიდრებს ბაღდათური ბიო ღვინის ნიშას.

გეგმის შემუშავების პროცესში განხორციელდა განვითარების შესაძლებლობების და საჭიროებების სიღრმისეული კვლევა, შემუშავდა SWOT ანალიზი და მთავარი დასკვნები. ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მნიშვნელოვანია ისეთი სისუსტეების დაძლევა, როგორცაა არასაკმარისად განვითარებული ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი სამუშაო ძალის მიგრაცია, ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი მუნიციპალური სერვისების სიმცირე, ბიზნეს სექტორში ტექნოლოგიებისა და ცნობიერების არასათანადო დონე, მუნიციპალიტეტის დაბალი ცნობადობა და სხვა.

შემუშავდა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვა, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტის მიმზიდველობის ზრდას როგორც ტურისტული ისე საინვესტიციო თვალსაზრისით, ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურისა და დივერსიფიცირებული მეწარმეობის განვითარებას, სამუშაო ადგილების ზრდას. ხედვის მისაღწევად განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მთავარი მიზნები: მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორში ცნობიერების ამაღლება და სამეწარმეო უნარების განვითარება, სამეწარმეო შესაძლებლობების ზრდა და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება.

მიზნების მისაღწევად დაისახა ისეთი ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა: მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე; ინვესტორების დაინტერესება და ინვესტიციების მოზიდვა, სამეწარმეო ცოდნის/კვალიფიკაციის ამაღლება, კერძო სექტორზე ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის ზრდა, ტურისტულად მიმზიდველი გარემოს შექმნა, ფინანსური რესურსების მოძიების ხელშეწყობა და აგროწარმოების განვითარება.

გეგმა ასევე მოიცავს ღონისძიებებისთვის საჭირო დაფინანსების რაოდენობასა და სავარაუდო წყაროებს. მუნიციპალიტეტი გეგმით გათვალისწინებულ ქმედებების ძირითად ნაწილს საკუთარი ბიუჯეტიდან დააფინანსებს, ამასთან ღონისძიებების ნაწილი შესრულდება სახელმწიფო, სამოქალაქოდა კერძო სექტორის ჩართულობით და ფინანსური თანამონაწილეობით. ამასთან

ნაწილი აქტივობები დაგეგმილია დონორის მოძიების იმედად და აუცილებელია, გააქტიურდეს მუშაობა დაფინანსების გარე წყაროების მოსაძიებლად.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის პროექტი მსოფლიო ბანკს და ევროკავშირის ექსპერტების მიერ შეფასდა უმაღლესი ქულით გამოცხადდა ინიციატივის ფარგლებში წარდგენილ გეგმებში **საუკეთესოდ** და სარეკომენდაციოდ გადაეცათ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მუნიციპალიტეტებს, რისთვისაც ბაღდათის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ოფიცერს გადაეცა დამადასტურებელი სერთიფიკატი ქალაქ კიევში გამართულ მაღალი დონის კონფერენციაზე, სადაც იმყოფებოდნენ მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის უმაღლესი ორგანოს თანამდებობის პირები, დონორი ორგანიზაციებისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლები.

გეგმა იქნა წარდგენილი და სათანადო წესით განიხილა მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მიღებულია შესაბამისი განკარგულებით.

გეგმის განხორციელების სამუშაოები დაწყებულია, შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შედიან მერიის საჯარო მოხელეები, ბიზნეს სექტორის და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2018 წლის განმავლობაში შემოსულმა თანხებმა შეადგინა 367 448.85 (სამას სამოცდაშვიდ იათას ოთხას ორმოცდ არვა) ლარი. მათ შორის, ქონების პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 334 614.0 (სამას ოცდა თოთხმეტიათას ექვსას თოთხმეტი) ლარს. კერძოდ, 2018 წლის განმავლობაში მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია და ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებული იქნა შემდეგი ქონება:

- სოფელ ალისმერეთში 30.17.31.293 საკადასტრო კოდზე მდებარე 1250.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ ნერგეთში 30.10.34.753 საკადასტრო კოდზე მდებარე 2178.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ როხში 30.04.39.563 საკადასტრო კოდზე მდებარე 69.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ დიმში 30.07.31.277 საკადასტრო კოდზე მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ მეორე ობჩაში 30.09.49.185 საკადასტრო კოდზე მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ ვარციხეში 30.03.42.282 საკადასტრო კოდზე მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- ქ. ბაღდათში, ვაჟა ფშაველას ქ. N4-ში 30.11.33.676 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა ნაგებობით;
- ავტომანქანა „Volkswagen Passat 2.0“ - სახელმწიფო ნომრით BHB – 744;
- ავტომანქანა „Isuzu NPR“ - სახელმწიფო ნომრით IMR – 273;

- ავტომანქანა „VAZ 2106“ -სახელმწიფო ნომრით GIC – 674;
- ავტომანქანა „Infinity QX4“ - სახელმწიფო ნომრით ICI – 595;
- ავტომანქანა „Jeep Grand Cherokee“ - სახელმწიფო ნომრით TWT – 425;
- დემონტაჟის ფორმით პრივატიზებული იქნა ქ. ბაღდათში, წერეთლის ქ. N16-ში 30.11.33.288 საკადასტრო კოდზე მდებარე ანძა (განაშენიანების ფართი 16.0 კვ.მ.)

საინვესტიციო ვალდებულების შესრულების პირობით მოხდა ქ. ბაღდათში, წერეთლის ქ. N16-ში 30.11.33.288 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონების პრივატიზება. ხელშეკრულების თანახმად, მყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 წლის ვადაში შეძენილ ქონებაზე განახორციელოს არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია. ამასთან, საინვესტიციო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მყიდველმა წარმოადგინა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის საბანკო გარანტია, რომლიც მოქმედების ვადაც 4 (ოთხი) თვით აღემატება საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას.

მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის შედეგად მიღებულ შემოსავლებში სარგებლობის უფლებით გაცემული ქონებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 32 834.85 (ოცდათორმეტიათას რვაასოცდათოთხმეტი) ლარი, მათ შორის:

- შენობა-ნაგებობების იჯარიდან მიღებული შემოსავალი 28 735.1 ლარი;
- მიწის ნაკვეთების იჯარიდან მიღებული შემოსავალი 3 499.75 ლარი;
- მანქანა დანადგარების იჯარიდან მიღებული შემოსავალი 600 (ექვსასი)ლარი.

2018 წლის განმავლობაში მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია და გაფორმდა 15 საიჯარო ხელშეკრულება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობების ფართის ნაწილზე და სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (მათ შორის საზაფხულო საძოვრებზე).

მუნიციპალიტეტის მოთხოვნით, 2018 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გადმოცემული და მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებულია სოფელ ნერგეთში 30.10.34.656 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 38.64 კვ.მ. შენობა ნაგებობით. აგრეთვე, ამბულატორიის განთავსების მიზნით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადმოცემული იქნა სოფელ ნერგეთში, 30.10.35.248 საკადასტრო კოდზე მდებარე შენობის პირველ სართულზე 100.0 კვ.მ. ფართი.

მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების უფლებით აღირიცხა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ხაზოვანი ნაგებობები (ელექტროგადამცემი ბოძები), რის შემდეგაც, ეკონომიკის სამსახური ინიცირებით, საკრებულოს მიერ მიღებული იქნა განკარგულება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ გარე განათების კონსტრუქციებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებისა და სხვა მოწყობილობების განთავსების მიზნით საქართველოში მოქმედ ინტერნეტ პროვაიდერებისთვის სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ და დადგინდა წლიური საიჯარო ქირა, რის საფუძველზეც მოხდება საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება ინტერნეტ პროვაიდერებთან.

## ტურიზმის მიმართულება

2018 წელს მოხდა ბაღდათის მუნიციპალიტეტისა და ქ. ლისომიცეს დამეგობრება, დამეგობრების შედეგია ის რომ მიმდინარე წლის სექტემბერში 13 ბავშვი და 2 პედაგოგი გაემგზავრება 1 კვირით პოლონეთში.

მუნიციპალიტეტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბერლინის ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში, რომელშიც 185 ქვეყანა მონაწილეობდა;

2018 წლის 20 მარტს წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ტურიზმის განყოფილებამ დაგეგმა და ორგანიზება გაუწია აქციას, რომელიც გაიმართა კურორტ საირმეში, აქციაში მონაწილეობას იღებდნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და მუნიციპალიტეტის თანამშრომლები მერთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად, აქციაზე მოხდა ამ დღის მნიშვნელობაზე საუბარი, სკოლის მოსწავლეების ნახატების გამოფენა, ფილმის ჩვენება და ლექცია ამ დღის მნიშვნელობაზე თუ რაოდენ მნიშვნელოვანია წყალი და წყლის რესურსების დაცვა მოსახლეობისა და დედამიწისთვის; 2018 წლის 13 მაისს მუნიციპალიტეტის წამომადგენლებმა მონაწილეობა მიიღო ქ. ბერლინში ე.წ „Row wine“ ფესტივალში, შეხვდნენ მის ხელმძღვანელს და მოწვევა მიიღეს, რომ მომავალ წელს ბაღდათის საოჯახო მარნები წარმოდგენილი იქნას ამ ფესტივალზე;

ბაღდათის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა ღვინის მაგისტრი ნიუ-იორკიდან, ქალბატონი ლიზა გრანიკი, რომელიც ბაღდათის ვაზის ჯიშებს, ღვინობსა და მარნებს გაეცნო.

მიმდინარე წლის 19-20 აპრილს მოეწყო ტურისტული სააგენტო „Reach Point Georgia“-ს ინფო-ტური ბაღდათის მუნიციპალიტეტში;

საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა ტურისტული კომპანიის ვიზიტი ბაღდათისთვის, გაიზარდა კომპანიის მიერ ტურისტების გამოგზავნის რაოდენობა და რამდენიმე ინფო-ტურიც განხორციელდა;

ტურიზმის განვითარების განყოფილებისა და ტურისტული სააგენტო „Reach Point Georgia“-ს ერთობლივი ინიციატივით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონების განვითარების უფროსის ორგანიზებით ბაღდათელი მეღვინეებისთვის მოეწყო ინფო-ტური რაჭაში.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების განყოფილების აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში ტურისტულ კომპანია „ReachPoint Georgia“ - სთან, მ/წლის 25 აპრილს დაიგეგმა კიდევ ერთი ინფო-ტური ბაღდათელი მეღვინეებისთვის, რომლებიც იმყოფებოდნენ მარნეულში, ბოლნისში და თელავში, სადაც მოინახულეს და გაეცნენ ბოლნისის და თელავის მუნიციპალიტეტში არსებულ მეღვინეებს, ღვინის მარნებს და გაიზიარეს მათი გამოცდილება;

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიის სახლი“-სა და ტურიზმის განვითარების განყოფილების მიერ შექმნილ საგრანტო პროექტის ფარგლებში რომელიც მოიცავს: ტურისტული მიმართულებების, მაჩვენებლების, საინფორმაციო სტენდების, ლაითბოქსებისა და საპიკნიკე ადგილების მოწყობას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წითელ მინდორზე დაიდგა 2 საპიკნიკე და ბაღდათში 2 ლაითბოქსი;

მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტები, მარნები, სასტუმროები მუზეუმები, ბუნებრივი და ისტორიული ძეგლები განთავსდეს „Google-maps“, რათა ტურისტებს გაუადვილდეთ მონახულება, გაიზარდოს მათი პოპულარობა და კონკურენტუნარიანობა;

მაისში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ტურიზმის განვითარების განყოფილებისა და ახალგაზრდა გიდების ასოციაციის თავმჯდომარის ლაშა ბერეკაშვილის ორგანიზებით, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 25 სერთიფიცირებული გიდი გაეცნენ მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს და რამდენიმე ტურისტული ობიექტიც მოინახულეს;

2018 წლის შემოდგომაზე ტურიზმის განვითარების განყოფილებამ და კულტურის სამსახურმა მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით და თანადგომით ჩაატარა საერთაშორისო ეკო-ფესტივალი, ასევე ერთ-ერთი ორგანიზატორი და ინიციატორი იყო ბერლინში მცხოვრები ემიგრანტი ქალბატონი სანდრა ვერელი. ფესტივალი ვლადიმერ მაიაკოვსკის 125 წლისთავს ეძღვნებოდა, რომელიც საინტერესო შემოქმედებით და სასწავლო ღონისძიებით იყო დატვირთული და უამრავი სტუმარი თუ ადგილობრივი მოქალაქე იღებდა მონაწილეობას, შემდგომში დამკვიდრდა ტრადიცია, რომ ყოველ წლიურად გაიმართება აღნიშნული ფესტივალი, როგორც საქართველოში ასევე გერმანიის დედაქალაქ ბერლინში.

### სოფლის მეურნეობის მიმართულება

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით სურსათის უვნებლობის სამსახურისა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მობილიზებულ იქნა 7 ერთეული სპეცტექნიკა, რომელთა გამოყენებით 2018 წლის აპრილიდან ოქტომბრის ბოლომდე შვიდჯერ შეიწამლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულები გაფრქვევითა და ცივი შესხურების მეთოდით, მთლიანად შეწამლული ფართობი შეადგენს 14715 ჰა-ს. პარალელურად სისტემატურად ტარდებოდა შეხვედრები მოსახლეობასთან აზიური ფაროსანასაგან მომდინარე საფრთხეების გაცნობიერების მიზნით.

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კუთხით მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ფარგლებში 2018 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტში დაფინანსებულ იქნა 10 ბენეფიციარი, საერთო თანხით 108,9 ათასი ლარით.

კენკროვანი კულტურების გაშენების მიზნით სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალის“ 100%-იანი დაფინანსების პროგრამაში ჩართვის მიზნით შერჩეულია 32 ბენეფიციარი, რომელთაც ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზი უკვე ჩაუტარდათ და მიღებულია დადებითი პასუხები სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან. ამჟამად მიმდინარეობს დანარჩენი ცნობების შეგროვება-ჩაბარების პროცესი. კენკროვანი კულტურების გაშენების სავარაუდო ფართი ჯერ-ჯერობით შეადგენს 10 ჰა-ს, რაც ახალი ბენეფიციარების დამატებით შესაბამისად გაიზრდება.

განყოფილების მიერ შესწავლილ იქნა სსიპ „წიადის ეროვნული სააგენტოდან“ მიღებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის შესახებ 10 მომართვა, რომელთაგან დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 7 ობიექტზე.

2018 წელს ფაქტიურად დამთავრდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები, რისთვისაც გამოყოფილი იყო 3105 ათასი ლარი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 სარწყავ სისტემას და მოეწყო მათზე 338 ჩამკეტი მოწყობილობა.

წლის განმავლობაში სისტემატურად ტარდებოდა გარემოს დაცვითი ღონისძიებები, ორჯერ მოეწყო ფართომასშტაბიანი დასუფთავების აქცია, მოხდა 5 სტიქიური ნაგავსაყრელის დახურვა, მტაცებელ ცხოველთა ლიკვიდაციისათვის გატარებული ღონისძიებების შედეგად ამოღებულ იქნა 6 ერთეული ტურა და 1 ერთეული მგელი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატურად ტარდება გამხმარი და ფაუტი ხეების შესწავლა - ამოღება და ახალი მწვანე ნარგავების გაშენება.

დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან მიღწეული შეთანხმების შედეგად საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით აჯამეთის ალკვეთილის ტერიტორიაზე მოვახდინეთ სპეციალური ჭრები ფაუტი და გამხმარი ხეების ამოსაღებად, რის შედეგადაც მიღებული 271 კუბ/მ შემა გადაეცემა მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, ასევე სოფ. საიმედოს სასაფლაოზე შესწავლილი და ამოღებული იქნა 29 ძირი გამხმარი და ფაუტი ხეები, რის შედეგადაც მიღებული 30 კუბ/მ შემა დაურიგდა სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

განყოფილება აქტიურად იყო ჩართული სოფლის მეურნეობის სფეროში თანამედროვე მიღწევებისა და ტექნოლოგიების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებასა და ცოდნა-გამოცდილების მიღებაში, სისტემატურად ტარდებოდა ლექცია-საუბრები მოსახლეობაში არსებული პრობლემების შესახებ, როგორცაა ვაზის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა, ორგანული და არაორგანული სასუქების გამოყენების პირობები და სხვა.

### **„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია“**

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია ფუნქციონირებს 2007 წლის ივლისიდან, იგი თავდაპირველად შექმნილი იყო მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, ხოლო 2016 წლიდან ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მერიასთან. კომისია ამჟამად განიხილავს მხოლოდ ფიზიკური პირების მიერ შემოტანილ განცხადებებს, ხოლო რაც შეეხება იურიდიულ პირებს, მათი დაკმაყოფილება ხდება სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. შექმნიდან კომისიამ განიცადა რამდენიმე ცვლილება და დღეს მოქმედი კომისია შედგება 8 წევრისაგან, რომელთაგან ერთი წევრი მოვლინებულია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოდან.

კომისია ძირითადად ფიზიკურ პირებს საკუთრებას უღიარებს ისეთ მიწის ფართობებზე, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი ( აშენებული, მშენებარე და დანგრეული. რომელზედაც განთავსებულია არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა ( მხოლოდ აშენებული დანგრეული მხედველობაში არ მიიღება); და ასევე მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე, რომლის ფართობი ნაკლებია განმცხადებლის საკუთრებაში ან კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს მასზე ნაგებობის არსებობის ფაქტს). ყოველივე ამას ნოტარიულად უნდა ადასტურებდეს ორი მოქალაქე.

კომისიაზე შემოსული განცხადების საფუძველზე კანონის შესაბამისად ხდება ინფორმაციის მოძიება, განსახილველი მიწის ნაკვეთი ხომ არ არის დაკავებული ან/და გაცემული საკუთრებაში ან სარგებლობაში (მიმართვები ეგზავნება: ენერგო-პრო ჯორჯიას, სოკარ ჯორჯია გაზის, ვანი გაზის, წარმომადგენლობას ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერს და ნოტარიუსს, ასევე ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, კომისია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ახორციელებს განსახილველ განცხადებაზე თანდართული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე გაცემული მიღება ჩაბარების აქტების გამოთხოვას.) ასევე, ხდება ადგილზე გასვლა და შესაბამისი მიწის ნაკვეთი დათვალიერება დასურათება, რის შემდეგაც კომისია იხილავს აღნიშნულ საკითხს და გადაწყვეტილებას იღებს ხმათა



უმრავლესობით. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებას, რომლის საფუძველზეც მზადდება საკუთრების მოწმობა, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი საკუთრების მოწმობა, დამოწმებული კომისიის ბეჭდით სარეგისტრაციოდ იგზავნება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

იმ შემთხვევაში, თუ განსახილველად წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში, კომისიის მიერ ეროვნულ სატყეო სააგენტოში იგზავნება წერილი აღნიშნული მიწის ნაკვეთის ტყის ფონდიდან ამორიცხვის შესახებ. სააგენტოს მიერ მიწის ნაკვეთის ტყის ფონდის საზღვრებიდან ამორიცხვის შემთხვევაში ხდება საკუთრების უფლების აღიარება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გასულ საანგარიშო პერიოდში (2018 წელი) კომისიაში შემოსული იყო სულ 410 (ოთხას ათი) ფიზიკური პირის განცხადება, აქედან 409 (ოთხას ცხრა) საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოდან, 1 (ერთი) განცხადება პირადად იქნა შემოტანილი განმცხადებლის მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში.

კომისიამ განიხილა 345 (სამას სამოცდათორმეტი) განცხადება. აქედან 170 (ას სამოცდაათი) განცხადებაზე მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, საერთო ჯამში საკუთრების უფლება აღიარებული იქნა 197682კვ/მ მიწის ნაკვეთზე. კომისიამ უარყოფითი გადაწყვეტილება გამოიტანა 175 (ას სამოცდათხუთმეტი) განცხადებაზე და უარი ეთქვა განმცხადებლებს მათ მიერ კომისიაში წარმოდგენილი მასალების კანონმდებლობასთან შეუსაბამობის გამო, დანარჩენ 65 (სამოცდახუთი) განცხადებაზე მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება. ამჟამად კომისიაში სულ გასული წლიდან გადმოსული და მიმდინარე წელში შემოსული განცხადებების გათვალისწინებით მომზადების პროცესშია სამოცამდე ფიზიკური პირის განცხადება, რაზეც სისტემატურად მიმდინარეობს მუშაობა.

ბოლო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა კომისიაში შემოსული განცხადებების რაოდენობა, რაც განპირობებულია „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონის ამოქმედებით, რამაც გაამარტივა მიწის რეგისტრაცია და მოქალაქეებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახადა. უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი, კომისიის ყველა წევრი ამ მოვალეობას ასრულებს ანაზღაურების გარეშე ძირითად სამუშაოსთან ერთად.

რაც შეეხება თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების საფასურს, იგი დღეის მდგომარეობით 1 ჰა გაანგარიშებით შეადგენს 710 (შვიდას ათი) ლარს, (სასოფლო-სამეურნეო) არასასოფლო-სამეურნეოს ფასი შეადგენს ორმაგს 1420 ლარს, ხოლო „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება ხორციელდება საფასურის გადახდის გარეშე.

## სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური საქმიანობას ახორციელებს ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N56 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2018 წლის პროგრამის“ მიხედვით, რომლისათვისაც ბიუჯეტში 395 500 ლარი იქნა განსაზღვრული. აღნიშნულ თანხას დაემატა 2017 წლის ნაშთის სახით არსებული 3500 ლარი, რამაც ჯამში 403 000 ლარი შეადგინა.

მოკლედ გაგაცნობთ ინფორმაციას, პროგრამის თითოეული მუხლის მიხედვით გახარჯული თანხისა და დაკმაყოფილებულ ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ:

**პირველი მუხლიდან** (სამედიცინო დახმარება) მედიკამენტების შესაძენად გახარჯულია 29 865 ლარი, დახმარება გაეწია 486 ბენეფიციარს.

390 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისათვის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში გადარიცხულია 107 539 ლარი. აგრეთვე, გაცემულია 16 000-მდე ლარის ოდენობის საგარანტიო წერილები, რომლის საფუძველზეც, (შესრულებული სამუშაოს შესახებ დოკუმენტაციის წარმოდგენისას) აღებული გვაქვს სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ვალდებულება.

**მე-2 მუხლი** ითვალისწინებს მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში, მათი ოჯახისათვის ფინანსური დახმარების გაწევას 250 ლარის ოდენობით, სარიტუალო ხარჯების ანაზღაურების მიზნით. მიმდინარე წელს აღნიშნული დახმარება ერთ ოჯახზე გაიცა, შესაბამისად გაცემულია 250 ლარი.

**მე-3 მუხლით** განსაზღვრულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარება. დახმარება მიიღო 12 ოჯახმა, გაცემულია 2400 ლარი.

**მე-4 მუხლი** მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოს ბიუჯეტს განსაზღვრავს, რომლისთვისაც 45 000 ლარი იყო გათვალისწინებული 2018 წლისთვის. ამ მუხლიდან 42 277 ლარია დახარჯული. ამჟამად, უფასო კვებით 60 ბენეფიციარი სარგებლობს, 2018 წლის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბენეფიციართა რაოდენობა 56 იყო, რის გამოც გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიხარჯა.

**მე-5 მუხლის** მიხედვით (ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა) გაცემული თანხის რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ✓ მეორე შვილის შეძენის გამო მოგვმართა 66-მა ოჯახმა, შესაბამისად, გაიცა 9 900 ლარი.
- ✓ მესამე შვილის შეძენის გამო დაკმაყოფილდა 37 ბენეფიციარი, გაიცა 11 100 ლარი
- ✓ მეოთხე და შემდეგი შვილი შეძენასთან დაკავშირებით 9 ბენეფიციარზე გაიცა 3600 ლარი

✓ ტყუპების შეძენის 2 შემთხვევა გვექონდა და შესაბამისად გაცემულია 1200 ლარი.

**მე-6 მუხლიდან** გაიცემოდა სტიქიური უბედურებისა და სხვა ობიექტური მიზეზების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ბინის ქირა და ამ მიზნით, გაცემულია 12 382 ლარი.

**მე-7 მუხლიდან** - სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები - გაცემული თანხები:

ა) კრიზისულ ვითარებაში ჩავარდნილი ოჯახების დახმარება: ისარგებლა 310 - მა ოჯახმა, გაცემულია 44160 ლარი.

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება : 39 მრავალშვილიან ოჯახზე გაცემულია 8 950 ლარი.

გ) 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა ოჯახების დახმარება გაიცა 36 ბენეფიციარზე. თითოეულზე 150 ლარის ოდენობით, საერთო ჯამში 5400 ლარი.

დ) მარტოხელა (მემკვიდრის გარეშე დარჩენილი) და დევნილ მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯებისათვის გაიცა 900 ლარი.

საერთო ჯამში, აღნიშნული მუხლიდან გახარჯულია 59 410 ლარი

**მე-8 მუხლით** (სადღესასწაულო დახმარების პროგრამა) განსაზღვრული თანხა 10 000 ლარი, მთლიანადაა გაცემული მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 100 ვეტერანზე.

**მე-9 მუხლი** - შშმ პირთა დახმარება სხვადასხვა აქტივობებზე გახარჯულია 19 956 ლარი.

**მე-10 მუხლის** მიხედვით, ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის აღდგენითი სამუშაოების მონაწილე 18 პირს ერთჯერადად გადაეცა 150 ლარი და ამ მუხლიდან გაიხარჯა 1 800 ლარი.

**მე-11 მუხლი:** 4 დღეგრძელ (ას წელს გადაცილებულ) მოქალაქეზე გაიცა 1000 ლარი.

**მე-12 მუხლიდან** ფინანსდებოდა დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯები. 2018 წელს ჩვენი მუნიციპალიტეტიდან აღნიშნული პროგრამით 17 ბენეფიციარი სარგებლობდა. გახარჯულია 32 470 ლარი.

**13 მუხლი :** 11 მარტოხელა მშობელს დავეხმარეთ 2 200 ლარით და 41 ობოლ ბავშვზე გაიცა 4 100 ლარი. ჯამში, აღნიშნული მუხლიდან გაცემულია 6 300 ლარი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18 ეკომიგრანტი ოჯახის მონაცემები გადაგზავნილია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, ერთი მათგანი - სოფელ წითელხევში მცხოვრები ელგუჯა მელაძის ოჯახი 2018 წლის ზაფხულში დაკმაყოფილდა.

2018 წლის გაზაფხულზე, მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შეჯამებული იქნა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2017 წლის მუშაობა და გაიცა გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც ძირითადად სამოქმედო დადგენილებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას შეეხებოდა. ჩვენს მიერ, რეკომენდაციების შესრულების მიზნით გატარდა შესაბამისი ღონისძიებები:

- ✓ „სოციალური პროგრამების გაცემის წესის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქის დახმარება მხოლოდ ერთჯერადად განისაზღვრებოდა (მაგალითად, თუ ოჯახის წევრს მიღებული ჰქონდა დახმარება შვილის შეძენის გამო, იგი ვერ ისარგებლებდა მუნიციპალიტეტის პროგრამით განსაზღვრული სამედიცინო თუ სხვა სახის დახმარებით). ცვლილების შემდეგ აღნიშნული შეზღუდვა მოიხსნა და ერთჯერადად განისაზღვრა თითოეული მუხლით სარგებლობის უფლება (თუ, რა თქმა უნდა, იგი აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ პირობებს).
- ✓ განისაზღვრა აგრეთვე, უფასო სასადილოს მომსახურების მიმღებ ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები და შეიქმნა მომლოდინეთა აღრიცხვის სია.
- ✓ მკაცრად განისაზღვრა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებელი თანხის ზედა ზღვარი, რამაც სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლილებამ უკმაყოფილება გამოიწვია ზოგიერთი ბენეფიციარის მხრიდან, რადგან იყო შემთხვევები, როცა მათ ვერ შეძლეს დარჩენილი თანხის გადახდა და ამ მიზეზით უკან დაგვიბრუნეს გამოკვლევისათვის გაცემული საგარანტიო წერილი.

გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, აუცილებლად მიმაჩნია იმ სიახლის აღნიშვნა, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს სამედიცინო მომსახურების კუთხით ჩვენს მიერ გაწეული ხარჯის არამიზნობრიობას. ვგულისხმობ სამსახურის მიერ „საგარანტიო წერილების“ გაცემის დანერგვის პრაქტიკას, რომლის საფუძველზეც ბენეფიციარს გაეწევა მომსახურება და ჩვენს მიერ განსაზღვრული თანხა მხოლოდ შესრულებული სამუშაოს წარმოდგენის შემდეგ გადაერიცხება სამედიცინო დაწესებულებას.

2018 წლის ოქტომბრის თვიდან, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური გადავიდა საქმისწარმოების ახალ სისტემაზე, რომელსაც „მუნიციპალური მმართველობის სისტემა“ (მმს) ეწოდება. აღნიშნული სისტემის დანერგვისას გარკვეული ხარვეზები აღინიშნებოდა, თუმცა ამ ეტაპზე ფაქტობრივად სისტემა გამართულად მუშაობს.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სამსახურის ინიციატივითა და ჩართულობით, ანონიმური კითხვარების გამოყენებით 2018 წელს მოხდა უფასო სასადილოს ბენეფიციართა კმაყოფილების დონის განსაზღვრა. კითხვარების მიხედვით, ბენეფიციარებმა სასადილოს ფუნქციონირების საჭიროება დაადასტურეს და კმაყოფილება გამოხატეს. გამოითქვა ასევე გარკვეული შენიშვნებიც. დაგეგმილი გვაქვს, მომავალი წლის განმავლობაში მსგავსი კითხვარის მიხედვით ყველა სოციალური პროგრამის ბენეფიციართა კმაყოფილების დონე განვსაზღვროთ, რაც საშუალებას მოგვცემს თითოეული პროგრამა მოქალაქეთა ჩართულობით შემუშავდეს და მაქსიმალურად გავხადოთ ბენეფიციართა საჭიროებებზე მორგებული.

## **კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის**

### **საქმეთა სამსახური**

	ღონისძიებების დასახელება	სულ გასაცემი თანხა	გასაცემი თანხა ერთეულზე	გაცემული თანხა	დარჩენ ილი თანხა	დაკმაყო ფილებუ ლ კაცთა რაოდენო ბა	შენიშვნა
1.	სოციალურად დაუცველ და ეკონომიურად გაჭირვებულ ოჯახის წევრებზე სამედიცინო გამოკვლევის, მკურნალობის, საოპერაციო და სამკურნალო მედიკამენტებისათვის საჭირო თანხების ნაწილობრივი უზრუნველყოფისათვის	153 500	-----	137 405	16 095	880	16 000 ლარზე გაცემულია საგარანტიო წერილი.
2.	დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და ტერიტორიული მთლიანობის მებრძოლთა ოჯახებისათვის სარიტუალო მომსახურების თანხა- ოჯახში ომის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში.	2 000	250	250	1750	1	
3.	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარებისათვის.	2 400	200	2400	0	12	
4.	უფასო სასადილოს დაფინანსებისათვის	45 000	-----	42 277	2 723	60	
5.	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	30 000		25 800	4 200	114	
ა.	მე-2 შვილის შეძენისათვის		150	9 900		66	
	მე-3 შვილის შეძენისათვის		300	11 100		37	
ბ.	მე-4 და შემდეგი შვილის შეძენისათვის		400	3 600		9	
	ტყუპების შეძენისას		600	1200		2	
დ.							
6.	სტიქიური მოვლენებისა და სხვადასხვა მიზეზების გამო უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი	30 000	-----	12 382	17 618		

	საცხოვრებლით უზრუნველყოფის ხარჯები						
7.	სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის	67 160	-----	59 410	7 750	335	
ა.	გაუთვალისწინებელ კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	44 160	-----	44 160	0	310	
ბ.	მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	10 000	50	8 950	1 050	39	
გ.	18 წლამდე შ.შ.მ. ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	10 000	150	5 400	4 600	35	
დ.	მარტოხელა და დევნილ მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	3 000	300	900	2100	3	
8.	სადღესასწაულო დახმარების პროგრამა	10 000	100	10 00	0	100	
9.	შ.შ.მ. პირთა დახმარება	20 000	-----	19 954	46	60	
10.	ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის აღდგენითი სამუშაოების მონაწილეთა დახმარება	1 800	150	1 800	0	12	
11.	დღევრძელი (100 და მეტი წლის ასაკი) მოქალაქეთა დახმარება	1 000	250	1 000	0	4	
12.	დიალიზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება	32 640	170	32 470	170	17	
13.	მარტოხელა მშობლის და ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვიანი ოჯახების დახმარება	7 500	200 100	2 200 + 4 100 = 6 300	1 200	10 + 31 = 41	
	სულ.	403 000		351 448	51 552	1 636	

ბაღდათის მუნიციპალიტეტში განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული საკითხების სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა სპორტის სამსახური და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ა.ა).ი.პ-იები:

1. ა.ა).ი.პ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი, სადაც გაერთიანებულია შემდეგი სექტორები :
  - ა) რევაზ ლალიზის სახელობის კულტურის ცენტრი,
  - ბ) ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ბაღდათის მთავარი ბიბლიოთეკა,
  - გ) ვ. მაიაკოვსკისა და ბაღდათის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
2. ა.ა).ი.პ სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება, სადაც გაერთიანებულია შემდეგი სექტორები :
  - ა) ვალერიან ქაშაკაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა,,,
  - ბ) კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლა,
  - გ) ახალგაზრდული ცენტრი,
  - დ) სკოლამდელი განათლება (საბავშვო ბაღები).
3. ა.ა).ი.პ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი, სადაც გაერთიანებულია შემდეგი სექციები:
  - ა) სპორტული სკოლა,
  - ბ) ინოვაციების ცენტრი.

აღნიშნული ორგანიზაციები საანგარიშო წლის დასაწყისში შედგენილი ღონისძიებათა პროგრამის შესაბამისად ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას. ორგანიზაციათა დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ბაღდათის მუნიციპალური ბიუჯეტის სუბსიდიები და საკუთარი შემოსავლები. ინფორმაცია, რომელსაც წარმოგიდგენთ მოიცავს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს. წლის განმავლობაში კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, დაქვემდებარებულ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. 2018 წლის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ შედგენილმა ღონისძიებათა პროგრამის ღირებულებამ შეადგინა 26 300 ლარი, საიდანაც წლის განმავლობაში ათვისებული იქნა:

- სხვადასხვა პატრიოტულ, საერო თუ რელიგიური დღესასწაულებისათვის თაიგულების, ალმებისა და პლაკატების შესაძენად 1575 ლარი
- ბაღდათის სახალხო თეატრის სპექტაკლის მოსამზადებლად 3 000 ლარი
- ფესტივალი „იმერეთის ხმა“ მონაწილეობისათვის 1700 ლარი
- სხვადასხვა ღონისძიებებისათვის პრიზებისა და სუვენირების შესაძენად 2883 ლარი
- სხვადასხვა ღონისძიებებისათვის ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად 2 235 ლარი
- საახალწლო მისალოცი ბარათებისათვის 500 ლარი
- სპორტულ ღონისძიებებში წარჩინებულთა წახალისებისათვის 2 275 ლარი
- საგანმანათლებლო მედია-პროექტი „ეტალონი“ ბაღდათელი მოსწავლეების მონაწილეობით 2 960 ლარი.

- ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება 660 ლარი.
- 1 ივნისი ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 500 ლარი.
- ეროვნული დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები „ზეკარობა“ 2 000 ლარი.
- საიუბილეო ღონისძიებებისათვის ფულადი ჯილდო 1875 ლარი
- ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? 172 ლარი
- მაიაკოვსკის წიგნის თარგმანის გამოცემისათვის 2000 ლარი
- ეკო ფესტივალი „ბაღდათის ზეცა“ 1190 ლარი

**სულ 25 525 ლარი.**

წლის განმავლობაში პერმანენტული ხასიათი ჰქონდა სხვადასხვა სახის გასართობ წარმოდგენებს, შემეცნებით აქტივობებს, ახალგაზრდულ შეხვედრებსა და სალონურ ღონისძიებებს. აღსანიშნავია ის, რომ რეგულარული ხასიათი ჰქონდა ვალერიან ქაშაკაშვილის სამუსიკო სკოლაში თემატურ სადამოებს, წითელხევის სახელოვნებო სკოლაში ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, ახალგაზრდული ცენტრის მიერ მრავალფეროვანი წარმოდგენებისა და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებს, ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ლიტერატურული სალონის შეხვედრებს და აქტივობებს, ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ბიბლიოთეკის შემოქმედებით-ლიტერატურულ კონკურსებსა და წიგნების პრეზენტაციებს, რევაზ ლალიძის კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტებს და სპორტული სკოლისა და ინოვაციების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა აქტივობებს. ამასთან მოგახსენებთ, რომ კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას აგრძელებს საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision-თან, აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით და განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით მიმდინარე წელს ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების კვლევა მუნიციპალიტეტში, რამაც შესაძლებელი გახადა ახალგაზრდული სტრატეგიული გეგმის შემუშავება, ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მონაწილეობით, რომლის იმპლემენტაცია 2019 წელს დაიწყო და 2022 წლამდე პერიოდს მოიცავს. აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა ახალგაზრდულ საბჭოსთან, რომელიც მუნიციპალიტეტის ყველა თემის თითო წარმომადგენლითაა დაკომპლექტებული და მერის სათათბირო ორგანოს წარმოადგენს ახალგაზრდულ საკითხებში. ახალგაზრდების არაფორმალური განათლების მიღების მიზნით, აქტიურად იქნა მხარდაჭერილი World Vision-ის ინიციატივა და ერთი წლის განმავლობაში 20 ახალგაზრდისაგან შემდგარი ჯგუფი, კვირაში ერთი დღე სხვადასხვა თემებზე ტრენინგებით, აქტივობებით, პრეზენტაციებით მიიღებენ არაფორმალურ განათლებას, რაც წარმატებული მომავლის დაგეგმვაში გამოადგებათ. განხორციელდა გაცვლითი სასწავლო პროგრამა დამეგობრებულ ქალაქ ლისომიცესთან (პოლონეთი), ბაღდათის საჯარო სკოლებიდან 12 წარჩინებული მოსწავლე 2 პედაგოგთან ერთად, იმყოფებოდნენ პოლონეთში, სადაც გაეცნენ იქაურ კულტურას, ტრადიციებს, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა შემეცნებით და სპორტულ აქტივობებში. მომავალში ვფიქრობთ ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედების და მისი მშობლიური მხარის, ბალდათის საერთაშორისო ასპარეზზე პოპულარიზაციის მიზნით, პოეტის 125 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ბალდათის მუნიციპალიტეტში მ/წლის 5-12 ოქტომბერს გაიმართა საერთაშორისო ეკო-არტფესტივალი „ბალდათის ზეცა“. ფესტივალის დაარსებას ბალდათში ჩაეყარა საფუძველი და მისი მიზანია ყოველწლიურად ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების თაყვანისმცემლებმა გერმანიაში, რუსეთსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი მოახდინონ მისი შემოქმედების და იმ ქვეყნის პოპულარიზაცია, სადაც დაიბადა და გაიზარდა ვლადიმერ მაიაკოვსკი. ფესტივალის ფარგლებში ბალდათის მუნიციპალიტეტს სტუმრობდნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ასევე საზღვარგარეთიდან (რუსეთი, გერმანია) მწერლები, პოეტები, მხატვრები, თეატრალები, მუსიკოსები, ქვაზე და ხეზე კვეთის ოსტატები, კერამიკოსები. ფესტივალის მიმდინარეობის პერიოდში ჩატარდა მასტერკლასები ლიტერატურულ გაკვეთილებში. ადგილზე მოხდა ქვაზე და ხეზე კვეთა, კერამიკული ნაწარმის დამზადება, თექისა და ტიხრული მინანქრის ნაკეთობების შექმნა.

მაისის დასაწყისში, ფოლკლორული სიმღერის ანსამბლი „საირმე“, ერთი კვირით გერმანიაში იმყოფებოდა და ქალაქ ბერლინში გამართულ მარცალ-ჰელლესდორფის საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. წარმატებული გამოსვლის შემდეგ ბალდათის მუნიციპალიტეტის მერმა მადლობის წერილი და მომავალი წლის მიწვევა მიიღო ფესტივალის ორგანიზატორებისგან. ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის, ვინაიდან 4 ათეული წელია ანსამბლს საქართველოს ფარგლებს გარეთ კონცერტი არ ჰქონია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან 2018 წელს, ფონდი „ქართუ“-ს დაფინანსებით დაიწყო მე-7 საუკუნის ძეგლის „ბერიეთი“-ს ტაძრის სრული რეაბილიტაცია, რომელიც 2019 წელს დასრულდება, ასევე დაწყებულია დიშნას ციხის მიმდებარე ტერიტორიის გასუფთავება, რომელის 2019 წელს გაგრძელდება. მოხდება ციხის ნაშთებისა და ჯვრის განათება, რაც ამ უძველეს ციხეს მიმზიდველს გახდის.

არსებობს გარკვეული პრობლემები, რომელთა გადაჭრა აუცილებლობას წარმოადგენს. შევეცდები წარმოგიდგინოთ რამდენიმე მათგანი.

- აუცილებელია ბალდათს ჰქონდეს სპორტული კომპლექსი.
- სარეაბილიტაციო კულტურის ცენტრის მცირე დარბაზი და პირველ სართულზე განთავსებული ახალგაზრდული ბარი. რეაბილიტაციის შემთხვევაში მასში მიზანშეწონილია განთავსდეს ახალგაზრდული შეხვედრებისა და ღონისძიებების ცენტრი და კინო სალონი.
- კულტურის ცენტრის დიდ დარბაზში დასამონტაჟებელია გათბობისა და გაგრილების სისტემა.
- ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებისათვის შესაძენია ახალი ეროვნული სამოსი.
- ქორეოგრაფიული ანსამბლისათვის შესაძენია რეკვიზიტები და აქსესუარები.
- კულტურის ცენტრისთვის საჭიროა ხმის გამამდიერებლის შეძენა.
- ახალგაზრდობის ცენტრი საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს.

- საბავშვო ბაღების პერსონალი საჭიროებს გადამზადებას, ინფრასტრუქტურა მოსამზადებელია ავტორიზაციის პროცესისათვის.
- საბავშვო ბაღებს აქვთ მეთოდური- დამხმარე ლიტერატურის და სათამაშოების ნაკლებობა.
- საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობა.
- მაიაკოვსკის სახლ- მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა

ეს ის მცირე ჩამონათვალია, რომლის გადაჭრაც შეცვლის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდული სფეროების განვითარებას ბაღდათის მუნიციპალიტეტში.

წარმოგიდგენთ 2018 წლის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში შესრულებულ ღონისძიებებს და აქტივობებს:

### კულტურის სფერო:

- 1 იანვარი - რევაზ ლალიძის კულტურის ცენტრში გაიმართა ა.(ა).ი.პ. მუსიკისა და ხელოვნების განვითარების ფონდის შემოქმედებითი ჯგუფის მიერ მომზადებული ზღაპარი. ბავშვებისათვის დამზადდა 1000(ათასი) ერთეული სასაჩუქრე პაკეტი, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 4300(ოთხი ათას სამასი) ლარი.
- 2 იანვარი -ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა ცენტრის აღსაზრდელების მიერ მომზადებული საახალწლო კონცერტი.
- 7 იანვარი - ქალაქის ცენტრში მოეწყო ეროვნულ სამოსში შემოსილი ახალგაზრდობისა და შემოქმედებითი ჯგუფების საზეიმო მსვლელობა.
- 14 იანვარი - თეატრის დღესთან დაკავშირებით რევაზ ლალიძის კულტურის ცენტრში მოეწყო თეატრის ისტორიის გამოფენა და ნაწყვეტების ჩვენება თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან.
- 15 იანვარი - რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის ცენტრში მოეწყო საბავშვო თეატრ „ირიდას“ მირ დადგმული საახალწლო სპექტაკლის ჩვენება.
- 13 აპრილი - ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ბიბლიოთეკა დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ო, ენავ ჩემო“.
- 17 აპრილი - ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალების 88 წლისადმი მიძღვნილი სალონური საღამო მისივე სახელობის მუზეუმში.
- 16-21 აპრილი - ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ბიბლიოთეკაში გაიმართა საბიბლიოთეკო კვირეული.
- 3 მაისი - რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა ვალერიან ქაშაკაშვილის დაბადებიდან 120 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- 9 მაისი - ვლადიმერ გუბელაძის ძეგლი შეიმკო ყვავილებით და გაიმართა ლიტერატურული კომპოზიცია ომის თემაზე.
- 5 მაისი - ვ. მაიაკოვსკის სახელობის მუზეუმში გაიმართა კარლო გოგსაძის წიგნის „საფუძვლები და გამომდინარეობანი“ პრეზენტაცია.
- 19 მაისი - ვ.მაიაკოვსკის სახელობის მუზეუმში გაიმართა ღონისძიებათა კომპლექსი „მოდის ღამე მუზეუმში“.
- 20-21 მაისი - რევაზ ლალიძის კულტურის ცენტრში გაიმართა ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლის შემაჯამებელი კონცერტი.

- 26 მაისი - რევაზ ლალიძის კულტურის ცენტრში გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.
- 24 ივნისი - რევაზ ლალიძის კულტურის ცენტრში გაიმართა ანსამბლ ანჩისხატის კონცერტი.
- 14 ივლისი - ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ბიბლიოთეკაში გაიმართა ნოდრ დუმბაძის საიუბილეო სარამო.
- 19 ივლისი - ვ.ვ. მაიაკოვსკის სახელობის მუზეუმში გაიმართა ვ.ვ. მაიაკოვსკის 125 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- 12 აგვისტო - დიდმაღალის ქედზე ზღვის დონიდან 2200 მეტრზე გაიმართა საერთო-სახალხო დღესასწაული „ზეკარი“.
- 8 აგვისტო - 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველო- რუსეთის ომში დაღუპული გმირების ფელიქს კაკაურიძისა და სვიად კაცაძის სახელობის ქუჩების გახსნა, საფლავების შემკობა გვირგვინებით და ომში დაღუპული გმირების მემორიალის გახსნა სოფელ დიძში.
- 27 სექტემბერი - ჯვართამაღლებისა და სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით დაღუპულ გმირთა მემორიალის შემკობა გვირგვინით და დაღუპულ გმირთა მოსახსენიებელი პარაკლისის გადახდა.
- 5-12 ოქტომბერი - საერთაშორისო ეკო-არტფესტივალი „ბაღდათის ზეცა -სულის ეკოლოგია“
- 13 ოქტომბერი - სახალხო დღესასწაული „ბაღდათობა“ მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის მონაწილეობით /ეკო-პროდუქტების გამოფენა/
- 1 ნოემბერი - ჯ. ღვინჯილიას სახელობის ბიბლიოთეკა იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საღამო.
- 2 ნოემბერი - რევაზ ლალიძის კულტურის ცენტრი საბავშვო კონცერტი.
- 4 დეკემბერი - რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის ცენტრი სასკოლო ფესტივალი მხიარულთა და საზრიანთა კლუბებს შორის.
- 20 დეკემბერი - ჯ. ღვინჯილიას სახელობის ბიბლიოთეკა საბიბლიოთეკო წლის სემაჯამებელი ღონისძიება „პროლოგი“.
- 24 დეკემბერი - ჯ. ღვინჯილიას ბიბლიოთეკა საქველმოქმედო ღონისძიება „შენ შეგიძლია დამეხმარო“.
- 25 დეკემბერი - ვ. ვ. მაიაკოვსკის მუზეუმი მაიაკოვსკის ავანგარდული შემოქმედების გაცნობა.
- 28 დეკემბერი - რ. ლალიძის სახელობის კულტურის ცენტრი საახალწლო კონცერტი.

გარდა ზემოთ აღნიშნული ღონისძიებებისა 2018 წელს რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის სახლში მოეწყო კულტურის სფეროში მოღვაწე პიროვნებების - ნოდარ ფულარიანისა და ავთანდილ გოგავას საიუბილეო საღამოები, ასევე ანსამბლ „საირმის“ 60 და ანსამბლის ლოტბარ სულიკო ვეფხვაძის სცენაზე მოღვაწეობის 40 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ფესტივალ „თეატრალური იმერეთი“-ში ბაღდათის სახალხო თეატრი წარდგენილი იყო სპექტაკლით „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელმაც მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა და თეატრალურ დასს სამი ნომინაცია მოაპოვებინა: მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის მელიტონ ჯაფარიძე, ქალის ეპიზოდური როლის საუკეთესოდ

განსახიერებისთვის ლელა ჭრელაშვილი და სპექტაკლის მხატვრულად გაფორმებისთვის მამუკა ტყემელაშვილი დაჯილდოვდნენ.

ქალაქ წყალტუბოში ჩატარებულ ფესტივალ „რეტრო 2018“ ტრიო „იმერეთმა“ პირველი ადგილი დაიმსახურა, ხოლო ვარენკა წერეთელის სახელობის ლირიული სიმღერის ფესტივალ „სულიკო 2018“-ში წარმატებული გამოსვლისათვის საპრიზო ადგილი დაიკავა.

2018 წელს მოხდა ორი ბიბლიოთეკის სოფელ წითელხევისა და სოფელ პირველ ობჩის ბიბლიოთეკების აღდგენა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ მათი აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით.

### განათლების სფერო:

- 3 მარტი-ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა დედის დღისადმი მიძღვნილი კაფე საღამო.
- როკითის საჯარო სკოლა დაჯილდოვდა 500 ლარით კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო CENC-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ნიკო კეცხოველის“ კვალდაკვალ გამარჯვებისათვის
- 9 მარტი- ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა ქალთა დღისადმი მიძღვნილი პროექტ გიზო თავაძის შემოქმედებითი საღამო.
- 16-30 მარტის ჩათვლით განხორციელდა მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მონიტორინგი სასწავლო სააღმზრდელო მეთოდოლოგიაში.
- 28 აპრილი- ბაღდათის სალოტბარო სკოლამ მონაწილეობა მიიღო საგუნდო საზოგადოების მიერ გამართულ ფესტივალში ზ. ფალიაშვილის სამუსიკო სკოლაში.
- 19 აპრილი- ბაღდათის N 2 საჯარო სკოლაში გაიმართა ბაღდათის საჯარო სკოლებს შორის სოციალურ საგანმანათლებლო პროექტი „ეტალონი“.
- 24 მაისი- ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა აქტივობა სახელწოდებით „ქალთა როლი ცნობილი მწერლების ცხოვრებაში“.
- 26 მაისი- ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით.
- 29 მაისი- ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა საჯარო სკოლებს შორის ინტელექტუალური თამაში: „რა? სად? როდის?“
- 31 მაისი- წითელხევის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლაში გაიმართა კოტე ფოცხვერაშვილის ჰიმნის „დიდება“ 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით.
- 1 ივნისი- ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სახის აქტივობები, რომელშიც ჩართულები იყვნენ საბავშვო ბაღების აღსაზრდელები.
- 1-8 ივნისის ჩათვლით განხორციელდა მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მონიტორინგი სასწავლო სააღმზრდელო მეთოდოლოგიაში.
- 4 ივნისი-გაიმართა ვ. ქაშაკაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის წლის საანგარიშო კონცერტი.
- 24 ივნისი- ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა სალოტბარო სკოლის კონცერტი
- 12 აგვისტო - ახალგაზრდების საერთაშორისო დღე

- 1-5 ოქტომბერი ახალი სასწავლო წლის მილოცვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.
- 16 ოქტომბერი- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სალოტბარო სკოლამ მონაწილეობა მიიღო საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ფესტივალში.
- 9-10 ნოემბერი-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სალოტბარო სკოლამ მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ფესტივალში.
- 17 ნოემბერი- ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის იუბილისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო, სახელწოდებით „უცნობი გალაკტიონი“.
- 22 ნოემბერი- ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- 30 ნოემბერი-ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით „შემოდგომა იმერეთში“.
- 5 დეკემბერი- წითელხევის კოტე ფოცხვერაშვილის ხელოვნების სკოლაში გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით „სკოლა ჩვენი მეორე სახლია“.
- 17 დეკემბერი- ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა მოსწავლეებთან შეხვედრა ბარბარობის დღესასწაულთან დაკავშირებით.
- 20 დეკემბერი- წითელხევის კოტე ფოცხვერაშვილის ხელოვნების სკოლაში გაიმართა მანია გუბელაძის წიგნის „ გზა დიდებისაკენ“ პრეზენტაცია.
- 25 დეკემბერი- ვალერიან ქაშაკაშვილის სამუსიკო სკოლაში გაიმართა საშობაო კონცერტი
- 26 დეკემბერი- წითელხევის კოტე ფოცხვერაშვილის ხელოვნების სკოლაში გაიმართა საშობაო კონცერტი.

### სპორტის სფერო:

- 2018 წლის სპორტული კალენდრის მიხედვით ბაღდათის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა სპორტული აქტივობები.
- მარტის თვეში ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ეგიდით შეჯიბრებები სხვადასხვა სპორტულ სახეობებში.
- ასევე მარტის თვიდან ა.(ა).ი.პ. საფეხბურთო კლუბი „საირმე“ ჩაერთო დასავლეთ რეგიონალიგის გათამაშებაში, რომელიც მიმდინარეობდა ნოემბრის ბოლომდე.
- 6 აპრილი -„სპორტის საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით გაიმართა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.
- 10 აპრილიდან 20 აპრილის ჩათვლით გაიმართა ფეხბურთში „მოყვარულთა თასი“-ს გათამაშება ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულების გუნდებს შორის.
- 20-21-22 პრილი- ა.(ა).ი.პ. სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრმა უმასპინძლა თემურ ვაშაყმაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.
- 14-15 მაისი- „სპორტი ბარიერების გარეშე“ ეგიდით გაიმართა ასპარეზობები მინი ფეხბურთში და ჭადრაკში საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის.
- 8-9-10 ივნისი ა.(ა).ი.პ. სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრმა უმასპინძლა ლევან ებანოიძისა და ავთანდილ გურგენიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში.

- 23 ივნისი- „ოლიმპიზმის დღესთან“ დაკავშირებით გაიმართა მართონული გარბენი.
- 15 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით გაიმართა მინი ფეხბურთის გათამაშება ბაღდათის მუნიციპალიტეტში არსებულ ორგანიზაციებს შორის.
- 10 ივლისიდან 10 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა „მოყვარულთა თასის“ რეგიონალური გათამაშება, სადაც აქტიურად მონაწილეობდა ბაღდათის მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდი საშინაო და გასვლით შეხვედრებში.
- 12 აგვისტო- „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით გაიმართა ტურნირი ქუჩის კალათბურთში.
- 23 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით „ევროპის სპორტის კვირეულის“ ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.
- - 6 ოქტომბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ეგიდით შეჯიბრებები სხვადასხვა სპორტულ სახეობებში.
- 3-4 ნოემბერი- ა.(ა).ი.პ. სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრმა უმასპინძლა გიორგი ბოგდანოვისა და გურამ გობეჯიშვილის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში.
- 20 დეკემბერი-გაიმართა მირიან ენდელაძის სახელობის ტურნირი ჭადრაკში ბაღდათის მუნიციპალიტეტში არსებულ ორგანიზაციებს შორის.
- 2018 წლის ბოლოს საუკეთესო შედეგების მიხედვით დაჯილდოვდა 5 სპორტსმენი:
  1. ბექა გიგაშვილი (რაგბი)
  2. ლუკა რურუა (თავისუფალი ჭიდაობა)
  3. ნიკოლოზ მშვილდაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
  4. ჯაბა ადამია (ჭადრაკი)
  5. გიორგი კვეტენაძე (შშმ პირთათვის სპორტული წრის ჩამოყალიბებაში შეტანილი წვლილისათვის)

### **ახალგაზრდული საქმეები**

პრობლემური საკითხებიდან ცალსახად სიმწვავეთ და მასშტაბურობით გამოირჩევა უმუშევრობის პრობლემა ახალგაზრდებში, შესაბამისად, განისაზღვრა გარკვეული, სტრატეგიული გეგმა. კერძოდ, საკითხის განხილვა, უწყვეტი განათლების სისტემის ჭრილში, რომელიც გულისხმობს ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე ადამიანის უფლებას, რომ განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობები, ინტერესები, მიიღოს გადაწყვეტილება განათლების მიღებასთან და პროფესიის შეცვლასთან დაკავშირებით. აქტუალური გახდა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და მოდერნიზაცია, მით უფრო იმ ფონზე, რომ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. ამავდროულად რეგიონში არსებობს საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“, სადაც სხვადასხვა საინტერესო პროფესიული პროგრამებია საინჟინრო და აგრო მიმართულებით, თუმცა სამომავლო გეგმა მოიცავს დაინტერესებული ჯგუფების სრულ ინფორმირებას, პროფესიული კოლეჯების ფართო სპექტრით გაცნობისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ. საკითხი მზადდება პროექტის „ისწავლე და დასაქმდი“ სახით, რომელიც მიზნად ისახავს

დაინტერესებული ახალგაზრდების ინფორმირებას, კვალიფიკაციის ამაღლებას და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

## ზედამხედველობის სამსახური

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური მისი დებულების შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში ასრულებდა სხვადასხვა სახის სამუშაოებს:

სამსახურის სპეციალისტებმა შეისწავლეს და შესაბამისი რეაგირება მოახდინეს სამეზობლო დავებზე, მოქალაქეთა განცხადებებსა და სხვადასხვა უწყებიდან შემოსულ წერილებზე.

ახორციელებდნენ კონტროლს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულებაზე, მშენებარე შენობა-ნაგებობებზე მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე იერსახის, კეთილმოწყობის და მიწათსარგებლობის წესების, სანიტარული ნორმების, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვაზე.

კოორდინირებულად მუშაობდნენ იურიდიულ განყოფილებასთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად.

მოაწესრიგეს გარე ვაჭრობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ბაღდათის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად მუნიციპალიტეტის სოფლების სხვადასხვა ადგილებში გამოვლენილი იქნა რამოდენიმე ფარული ნაგავსაყრელი, რომელთა დასუფთავება მოახდინა კომუნალურმა გაერთიანებამ.

2018 წლის მანძილზე სამსახურს დაეწერა და რეაგირება მოახდინა 182 წერილზე, მათ შორის 115 წერილი განეკუთვნებოდა სამოქალაქო დავებს და სამშენებლო ნებართვებს, ხოლო 67 წერილი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს.

სამუშაო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილია 15 სამშენებლო სამართალდარღვევა . მშენებლობაში მონაწილეთა მიმართ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ შესაბამისად გაიცა მითითება , რათა გონივრულ ვადაში მოეხდინათ სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორება. დარღვევა მიცემულ ვადაში გამოსწორა ექვსმა კანონდამრღვევმა, ცხრა კი დაჯარიმდა კანონის შესაბამისად (აქედან სამმა ჯარიმა გაასაჩივრა სასამართლოში). სამშენებლო სამართალდარღვევებზე ჯარიმის სახით შემოსულმა თანხამ შეადგინა 1500 ლარი.

სამსახური აქტიურადაა ჩაბმული ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების ორგანიზებაში. კერძოდ: კომუნალური გაერთიანებიდან გადმოგვეცა დასუფთავების მოსაკრებლის არ გადამხდელთა 140 კაციანი სია, რომლებიც უარს აცხადებდნენ ახალი ტარიფით დასუფთავების მოსაკრებლის გადახდაზე. მათ ზედამხედველობის სამსახურიდან მიეცათ როგორც წერილობითი ასევე ზეპირსიტყვიერი გაფრთხილება რამოდენიმეჯერ, რამაც გარკვეულწილად გამოიღო შედეგი და დაახლოებით 80-მა გადამხდელმა მოახდინა ხელშეკრულების გაფორმება. ხუთი საქმე გადაცემულია განსახილველად სასამართლოზე, დანარჩენი გადამხდელების მიერ უახლოეს პერიოდში მოსაკრებლის არ გადახდის შემთხვევაში საქმე განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

## სამხედრო სამსახური

2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის შესახებ მოგახსენებთ, რომ 2018 წლის საგაზაფხულო გაწვევაზე გამოძახებული იყო 340 წვევამდელი. გამოცხადდა და გამწვევმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება 228 წვევამდელზე გაწვევისა თუ გადავადების შესახებ.

**2018 წლის საგაზაფხულო გაწვევის გეგმა შეადგენდა:**

- თავდაცვის სამინისტრო - 18 წვ.
- შინაგან საქმეთა სამინისტრო - 6 წვ.
- სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო - 14 წვ.

**გაწვეული იქნა:**

- 6 წვ.
- 3 წვ.
- 2 წვ.

ბიბლიური თავისუფლების მღვდელმსახურის მოწმობა წარმოადგინა 59 წვ.  
ალტერნატიულ სამსახურში გაწვეული იქნა - 4 წვევამდელი;  
ვერ იქნა მოძიებული რეგისტრაციის ადგილზე არ ცხოვრების გამო - 12წვ.  
საზღვარგარეთ არის გასული - 40 წვ.  
გადავადება გაუფორმდა - 187 წვ.  
აღრიცხვიდან მოიხსნა - 11 წვ.  
პოლიციას გადაეცა - 26 წვ.

რაც შეეხება 2018 წლის საშემოდგომო გაწვევას, მოგახსენებთ, რომ 2018 წლის საშემოდგომო გაწვევაზე გამოძახებული იყო 380 წვევამდელი. გამოცხადდა და გამწვევმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება 281 წვევამდელზე გაწვევისა თუ გადავადების შესახებ.

**2018 წლის საშემოდგომო გაწვევის გეგმა შეადგენდა:**

- თავდაცვის სამინისტრო - 8 წვ.
- შინაგან საქმეთა სამინისტრო - 6 წვ.
- სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო - 10 წვ.

**გაწვეული იქნა:**

- 10 წვ.



- 6 წვ.
- 4 წვ.

ბიბლიური თავისუფლების მღვდელმსახურის მოწმობა წარმოადგინა 74 წვ.  
 ალტერნატიულ სამსახურში გაწვეული იქნა - 6 წვევამდელი;  
 ვერ იქნა მოძიებული რეგისტრაციის ადგილზე არ ცხოვრების გამო - 12 წვ.  
 საზღვარგარეთ არის გასული - 75 წვ.  
 გადავადება გაუფორმდა - 255 წვ.  
 აღრიცხვიდან მოიხსნა - 6 წვ.  
 პოლიციას გადაეცა - 24 წვ.  
 გასამართლდა, დაჯარიმდა - 2 წვ.

## შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური

ვინაიდან შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურს დანამტკიცები არ ჰქონდა 2018 წლის გეგმა, მოგვიანებით სამსახურის უფროსის დანიშვნის შემდგომ, ბაღდათის მერის 2018 წლის 16 მარტის N41 346 ბრძანებით დამტკიცდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის 2018 წლის მანძილზე განსახორციელებელი შიდა აუდიტების და სხვა საქმიანობის წლიური გეგმა, რომლითაც განსაზღვრული იყო მერიის 6 სტრუქტურული ერთეულის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 2 ა(ა)იპ-ის შიდა აუდიტორული შემოწმება და 4 ა(ა)იპ-ში განაცემი რეკომენდაციების მონიტორინგის ჩატარება.

აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული 2018 წლის წლიური გეგმა გათვლილი იყო 2 შიდა აუდიტორისაგან შექმნილი 2 ჯგუფის მიერ შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარებაზე ანუ მთლიანობაში 4 შიდა აუდიტორის მონაწილეობაზე. 2 შიდა აუდიტორის სამსახურიდან განთავისუფლების გამო და 2018 წლის ივნისის თვიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების (შემდგომში – აუდიტის საგანი) შესაბამისობის აუდიტის ჩატარების დაწყების გამო (მოგეხსენებათ ჩვენი შიდა აუდიტორული შემოწმებების პერიოდში განსაზღვრული იყო 2017 წლით), არსებული საკადრო რესურსის ცვლილებისა და უმაღლესი სახელმწიფო აუდიტორული ორგანოს მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგად, რისკების შეცვლის გათვალისწინებით აუცილებელი/მიზანშეწონილი გახდა მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის 2018 წლის წლიურ გეგმაში ცვლილებების შეტანა, რაც განხორციელდა ბაღდათის მერის 2018 წლის 06 აგვისტოს N41 990 ბრძანებით განახლებული წლიური გეგმის დამტკიცებით, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა მერიის 1 სტრუქტურული ერთეულის (რომელიც სახელმწიფო აუდიტის შემოსვლის დროისათვის უკვე დასრულებული იყო) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 5 ა(ა)იპ-ის

შიდა აუდიტორული შემოწმება და 4 ა(ა)იპ-ში განაცემი რეკომენდაციების მონიტორინგის ჩატარება.

ამ დროისათვის დასრულებულია წლიური გეგმით გათვალისწინებული მერიის 1 სტრუქტურული ერთეულის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 4 ა(ა)იპ-ის შიდა აუდიტორული შემოწმება, ხოლო 1 ა(ა)იპ-ის შიდა აუდიტი დასრულების საფეხურზეა და რომლის შეფერხების ძირითადი მიზეზი „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანება“-ს ბაგა-ბაღებში საახალწლო-სალონისძიებო სამზადისის და ახალი წლისთვის სწავლის განახლებასთან დაკავშირებით მოსამზადებელი საქმიანობების გამო შიდა აუდიტის ობიექტის თანამშრომელთა გადატვირთულობის გათვალისწინება გახლდათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წლიურ გეგმაში გათვალისწინებული ყველა შიდა აუდიტის დაწყება განხორციელდა, ასევე ჩატარებული იქნა დაგეგმილი მონიტორინგები.

საანგარიშო წლის მანძილზე განხორციელებული შიდა აუდიტის დროს რაიმე მნიშვნელოვან გარემოებას რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა შიდა აუდიტის სუბიექტის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, გამოვლენილი არ ყოფილა.

თითქმის ყველა შიდა აუდიტის ობიექტში შიდა აუდიტორები აწყდებოდნენ მოთხოვნილი საჭირო საბუთების მიღების დროის გაჭიანურებას, რაც ძირითადად განპირობებული იყო შიდა აუდიტის ობიექტის მიერ საბუთების მოუწესრიგებელი განთავსებით და მათი ძებნის გართულებით. ა(ა)იპ-ებში თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები არ იყო მკაფიოდ განაწილებული. ქონების სხვადასხვა ფორმით გადაცემისას რიგ შემთხვევებში არ ხდებოდა აღნიშნულის სწორი და სრული დოკუმენტური გაფორმება. ერთეულ შემთხვევებში ხელშეკრულებაში შესყიდვის ერთეულის ღირებულება არ იყო განსაზღვრული. სხვადასხვა შემთხვევაში ხარჯების გაწევა არ ხდებოდა გონივრულად, სადაც შესაძლებელია იქ ეკონომიური მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული. ყურადღება იყო მისაქცევი დოკუმენტაციის სწორ და დროულ შედგენაზე. დაქირავებულის მივლინების შემთხვევაში არ ითვალისწინებდნენ „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებით მოთხოვნილი საბუთების არსებობას. ხელფასების გაანგარიშებისას ბუღალტერია სრულფასოვნად არ იცავდა მოქმედ კანონმდებლობას, მის შესაბამისად არსებულ პრაქტიკას, რიგ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ხელფასების არასწორ გაანგარიშებებს. მოქმედი კანონმდებლობით ფარგლებში ნებადართული შიდა რეგულაციები გაწერილი არ იყო შრომის შინაგანაწესში და ისე ახდენდნენ მის გამოყენებას ყოველდღიურობაში. არ ექცეოდა სათანადო ყურადღება დოკუმენტაციას, როგორც ფორმის ასევე შინაარსობრივი კუთხით, ასევე დოკუმენტთა ერთმანეთთან შესაბამისობის მხრივ. ა(ა)იპ-ებს რომელთა თანამშრომლობაც დამტკიცებული ტარიფიკაციით ხდებოდა დასახვეწი ჰქონდათ აღნიშნული დოკუმენტი. ინვენტარიზაცია არ იყო ჩატარებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა დაცვით, შექმნილი ჰქონდათ საინვენტარიზაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში ასევე შედიოდა მატერიალურად პასუხისმგებელი პირები. ძირითად აქტივებს არ ქონდა გახსნილი საინვენტარო ბარათები.

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს, სამოქმედო დადგენილება, რითაც ხელმძღვანელობდნენ მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისას, არ უდგენდა

მკაფიო ჩარჩოებს, რომელიც მეტ სიცხადეს შესძენდა თითოეული გადაწყვეტილების მიღებას. ზოგ შემთხვევაში განცხადებები შესრულებული იყო ვადაგადაცილებით. იყო ხარვეზები სამოქმედო დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის სისრულესთან დაკავშირებით.

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგების ჩატარებისას მათი დიდი ნაწილი გათვალისწინებული იყო ( 15-დან 10 მათგანი).

მინდა შევუბნო ადგილობრივ თვითმმართველობაში არსებული საზოგადოებრივი საბჭოების საკითხს

### **ახალგაზრდული საბჭო**

2017 წლის იანვარში ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის #4158 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ახალგაზრდული საბჭო, რომელიც წარმოადგენს მერის სათათბირო ორგანოს, საბჭო შედგება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ადმინისტრაციული ერთეულიდან არჩეული თითო წევრისგან. საბჭო აირჩა ორი წლის ვადით და განისაზღვრა ახალგაზრდების ასაკი 18-29წ. ახალგაზრდული საბჭოს მიზანია თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა. საბჭოს შემადგენლობამ გაიარა არაერთი ტრენინგ კურსი, თუმცა სამოქმედო გეგმის არარსებობის გამო მათი ჩართულობის ხარისხი დეზულებით განსაზღვრულ პროცესებში, არ აღმოჩნდა საკმარისი. საბჭოს ფორმირებიდან ერთი წლის შემდეგ მოხდა განახლება. მიღებული შემადგენლობის მხრიდან გამოითქვა მოხალისეობრივი საქმიანობის სურვილი და მზაობა, რომ გაეძლიერებიათ საბჭო და გარკვეული შედეგებისათვის მიეღწიათ. საბჭომ მერის და შესაბამისი სამსახურის მხარდაჭერით გააგრძელა საქმიანობა გეგმიური, ეფექტიანი და ნაყოფიერი მუშაობის წარმართვისათვის.

ახალგაზრდული პოლიტიკის მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მიზნით, ბაღდათის მუნიციპალიტეტი გახდა სამიზნე რეგიონი, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე ა/ორგანიზაცია World Vision საქართველოსათვის. სწორედ მათი ინიციატივითა და დაფინანსებით, განხორციელდა ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების თვისობრივი კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ახალგაზრდებმა, ასაკობრივი,

ურბანული, გენდერული ნიშნის გათვალისწინებით. კვლევის ორგანიზების პროცესში მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია შეასრულა ახალგაზრდული საბჭოს წევრებმა, კვლევაში მონაწილე წარმომადგენლების მოძიების და მობილიზების თვალსაზრისით. კვლევის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და USAID ზრდა პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის მერიის შესაბამისი სამსახურის ძალისხმევით შეიქმნა რეგიონში უპრეცედენტო ახალგაზრდული სტრატეგიის დოკუმენტი, რომელშიც განისაზღვრა პრიორიტეტული სტრატეგიული მიმართულებები და სამოქმედო გეგმა, დოკუმენტის იმპლიმენტაციის შემდეგ ახალგაზრდული საბჭო, როგორც პლატფორმა, ეფექტური ინსტრუმენტი გახდა გეგმის ეფექტიანად განხორციელებისათვის.

ახალგაზრდული საბჭოს ორგანიზებით, ევროპის სპორტის კვირეულის ფარგლებში სპორტულ ღონისძიებებში მიიღეს მონაწილეობა, მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოზარდებისგან შემდგარმა საფეხბურთო გუნდებმა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ინტერესი და პოპულარობა საბჭოს საქმიანობის მიმართ.

ახალგაზრდული საბჭო აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებულ მთავარ ღონისძიებებში; 26 მაისი, 1 ივნისი, 12 აგვისტო. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე 12 აგვისტო, ა/ორგანიზაცია World Vision საქართველოს მხარდაჭერით გაიმართა „დიდი თამაში“, რომელშიც მონაწილეობდა 80 მონაწილე ყველა ადმინისტრაციული ერთეულიდან 18-29 წლის ახალგაზრდების შემადგენლობით. ახალგაზრდული საბჭო აქტიურად არის ჩართული, იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამის ბავშვთა დაცვისა და ადვოკატირების ჯგუფში, შესაბამისი ინიციატივებითა და კონკრეტული სამოქმედო გეგმით, რომელიც მოიცავს შეხვედრებს ახალგაზრდებთან, ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტის გაცნობისა და თემში რეალიზების თვალსაზრისით.

ახალგაზრდულ საბჭოს ჰყავს ინტელექტუალური გუნდი „თემიდა“, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ინტელექტუალურ თამაშებში და ეწევა პოპულარიზაციას საბჭოს ფარგლებში გუნდების შექმნის მიზნით.

ახალგაზრდული საბჭოს, როგორც პლატფორმის გაძლიერებას ემსახურება მიმდინარე პროექტი, რომელიც ინიცირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ა/ო „აირას“ მიერ, რომლის ფარგლებში ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულების გაძლიერებისა და სიახლეების გაცნობის(სემინარის ფორმატი) გარდა, გათვალისწინებულია სასწავლო ვიზიტები პოლონეთსა და ლიეტუაში. პროექტში მონაწილეობას იღებს ახალგაზრდული საბჭოსა და ახალგაზრდული კლუბის წევრები.

საბჭოს უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქვს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით სპორტული ღონისძიებების კვირეული, შემეცნებითი, სოციალური და საგანმანათლებლო აქტივობები.

## გენდერული საბჭო

გენდერული საბჭოს ახალი შემადგენლობა შეიქმნა 2018 წლის თებერვალში. საბჭოს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რის ფარგლებშიც ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს;

საბჭოს ორგანიზებით მიმდინარე წლის მარტის თვეში ჩატარდა მხატვარ ქრისტინე რობაქიძის ნახატების გამოფენახეხს, ნამუშევრები თემატურად ეხებოდა ისეთ საკითხებს როგორცაა ქალთა მიგრაცია, ძალადობა და ა.შ. გამოფენის პარალელურად ნაჩვენები იქნა ქრისტინე რობაქიძის მიერ ერთ-ერთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაღებული ფილმი.

საბჭოს ორგანიზებით გაიმართა ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? თამაშში მონაწილეობდა მიილო სხვადასხვა ორგანიზაციებმა: პოლიციამ, საარჩევნო ოლქმა და ა. შ. ყველა კითხვა და პასუხი დაკავშირებული იყო ასოციაციურად ქალთან.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წელთან დაკავშირებით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში დაღუპული მეზომოლების დედების მონაწილეობით გადაღებული და ნაჩვენები იქნა დოკუმენტური შინაარსის ფილმი

მამის დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება, სადაც წარმოდგენილი იყო მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები( შემსრულებლები: მამები და შვილები). ღონისძიებაზე ასევე ნაჩვენები იქნა საბჭოს მიერ გაკეთებული ვიდეო რგოლი მუნიციპალიტეტის თანამშრომლე მამების მონაწილეობით.

23 ივნისს, ოლიმპიადის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა ქალთა გარბენი. გარბენის პარალელურად იქვე განთავსებულ სტენდებზე წარმოდგენილი იყო ოლიმპიური მედალოსანი ქალები, მათ შორის ქართველი ქალები

ასევე მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი არის ა/ო ვორლდ ვიჟენის ბაზაზე შექმნილი ბავშვთა დაცვისა და ადვოკატორების ჯგუფის წევრი. ჯგუფი დაკომპლექტებულია როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისაგან. ჯგუფის წევრებმა მუნიციპალიტეტში მოქმედ 14 საჯარო სკოლაში მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ჩატარეს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, რომელიც ეხებოდა ძალადობის ისეთ ფორმებს, როგორცაა ნაადრევი ქორწინება, ბულინგი და ა. შ

აგვისტოს თვეში საბჭოს ორგანიზებით დაიწყო შეხვედრების ციკლი სახელწოდებით „ქალები, რომლებიც იწვევენ ცვლილებებს. პროექტის ფარგლებში საბჭო მასპინძლობდა ბალდათელ გოგონებს, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს ამა თუ იმ სფეროში. ქალბატონებმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს საკუთარ გამოცდილება თუ როგორ მიაღწიეს წარმატებას.

სხვადასხვა დროს საბჭოს ორგანიზებით მოეწყო აქციები და ფილმების ჩვენება (მშვიდობის დღე, ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანია და ა. შ) .

## შშმ პირთა საბჭო

ბაღდათის მერიასთან არსებული შშმ პირთა საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა 2015 წელს და დამტკიცებულია ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ამავე დებულებით დამტკიცებულია საბჭოს შემადგენლობა, სადაც უმრავლესობა 6 წევრი შშმ პირია. ადგილობრივი თვითმართველობა ითვალისწინებს საბჭოს რეკომენდაციებს და მხარს უჭერს მათ მიერ ინიცირებულ წინადადებებს. დებულების თანახმად ყოველ 2 თვეში იმართება საბჭოს სხდომა. 2018 წელის ჩატარებულ სხდომებზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

შშმ პირთა კავშირის „რწმენა და იმედი“-სათვის საოფისე ფართის გადაცემა.

შშმ პირთა მონაწილეობით შემეცნებითი ექსკურსია-ტურების დაგეგმა-ორგანიზება.

ბაღდათის მერიაში შემოსული შშმ პირთა განცხადების განხილვისათვის კომისიის შექმნა.

შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის აღნიშვნის საორგანიზაციო საკითხების განხილვა.

ბაღდათის მერიაში შშმ პირთა მიერ შემოტანილი განცხადებების განხილვის კომისიის შექმნა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტ სოფ. შუბანში მცხოვრები მზრუნველობა მოკლებული შშმ პირის მიუსაფართა თავშესაფარში განთავსების საკითხის განხილვა.

შშმ პირთა მონაწილეობა ქ. ქუთაისის მიერ ორგანიზებულ ნარდის ტურნირში.

შშმ პირთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების საკითხის განხილვა.

შშმ პირთა საერთაშორისო ფესტივალში „ივერია ბრილიანტში“ ბაღდათელი შშმ პირების მონაწილეობა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შშმ პირთა საჭიროებების დაგეგმარება.

აღსანიშნავია, რომ მ/წლის მარტის თვიდან ფუნქციონირებას შეუდგა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. დამტკიცდა სამუშაო დებულება, არჩეული იქნა თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი.

